პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

28 ივნისი, 1940 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო | № 18 (141) ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

აყვავებული საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საზეიმო კრება მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი დიდი სახალხო პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავისადმი, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ — სოციალიზმის ქვეყნის მესაჭეს, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს.

ქართული კულტურის დიდ დღესასწაულს ჩვენთან ერთად აღნიშნავენ მწერლები და პოეტები დიდი რუსი ხალხისა, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი და თავისუფალი ხალხებისა, რომლებიც განუყრელად დაკავშირებულნი არიან ურღვევი **სტალინური** მეგობრობით.

მთელი ჩვენი აზრები და გრძნობები, გული და ფიქრები გამსჭვალულია უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, — საბჭოთა კულტურის უდიდესი მეგობრისადმი, ჩვენი სამშობლოს ისტორიულ გამარჯვებათა შემოქმედისა და სულისჩამდგმელისადმი.

დიდ **ლენინთან** ერთად თქვენ შთაუნერგეთ საბჭოთა ხალხს სიყვარული და პატივისცემა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისადმი. **ლენინ-სტალინის** უკვდავი მოძღვრებით შეიარაღებულნი, ჩვენ მზრუნველობით ვიცავთ კულტურის შესანიშნავ ძეგლებს.

აკაკი წერეთელი ჩვენი მზიური თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი წინამორბედია. როგორც ჭეშმარიტად ხალხური პოეტი, იგი ღრმად გამოხატავდა ქართველი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს, მის თავდადებულ სიყვარულს სამშობლოსადმი.

სოციალური და ნაციონალური მონობის უღელქვეშ მგმინავ ქართველ ხალხს აკაკი წერეთელი უნერგავდა რწმენასა და იმედს, რომ ჩაგვრისა და მონობის სამყარო დაემხობა.

პოეტის ოცნება ახდა. კაცობრიობის უდიდეს გენიოსთან **ლენინთან** ერთად თქვენ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება შეუქმენით მრავალეროვან და მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხს.

დღეს, როდესაც კაპიტალისტური სამყარო გახვეულია მეორე იმპერიალისტური ომის ხანძარში, ბედნიერი საბჭოთა ხალხი, თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით, თქვენი ბრძნული პოლიტიკის მეოხებით, მტკიცე რწმენით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

მგზნებარე პატრიოტისა და ჰუმანისტის აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს უსაზღვრო სიყვარულს დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი. ჩვენ მზადა ვართ საკუთარი სიცოცხლით დავიცვათ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წმინდათა-წმინდა საზღვრების ხელუხლებლობა, დაუცხრომლად განვამტკიცოთ და ვამრავლოთ ის წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა საქართველომ ხალხთა ძმურ ოჯახში, ბოლშევიკების პარტიისა და დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს მოძმე ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ კულტურას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ბელადს და საყვარელ მასწავლებელს, მშობლიურ **სტალინს!**

მოსკოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი—

ამხანაგ ლავრენტი ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

თბილისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავისადმი, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ—ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს და თანამებრძოლს, საბჭოთა დაზვერვის ნაცად ხელმძღვანელს.

საბჭოთა საქართველოს ყველა წარმატება მჭიდროდ დაკავშირებულია თქვენს სახელთან. თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველომ მიაღწია უმაგალითო წარმატებებს, საპატიო ადგილი დაიკავა ჩვენი სამშობლოს მოძმე რესპუბლიკების ერთიან ოჯახში.

მთელი რიგი წლების განმავლობაში თქვენ ქართველ ხალხს ზრდიდით უძლეველი ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, უნერგავდით მას მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილ გრძნობებს.

ამ გრძნობებით გამსჭვალულია ქართული კულტურის დღევანდელი დღესასწაულიც, მთელი საბჭოთა კულტურის დიდი სახალხო დღესასწაული, მიძღვნილი ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლისადმი.

ბოლშევიკების გმირული პარტიის წინამძღოლობით, მშობლიური **სტალინის** მზრუნველობის მეოხებით, თქვენი მტკიცე ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა მიაღწია თავისი მეურნეობისა და კულტურის აღორძინებასა და უმაგალითო გაფურჩქვნას.

აყვავებული საქართველო თერთმეტ მოძმე რესპუბლიკასთან ხელიხელჩაკიდებული განუხრელად მიდის კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში კულტურის უდიდეს ძეგლებთან ერთად, ქართველი ხალხი ფართოდ იყენებს აკაკი წერეთლის პოეზიასაც.

გაუმარჯოს ჩვენი დიადი სამშობლოს თავისუფალ და ბედნიერ ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

გაუმარჯოს უძლეველ ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

ერთსულოვნად ვუერთდებით პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიმართვას

მწერალთა კრებაზე

26 ივნისს, ყველა მუშისა და მუშა ქალის, ინჟინრისა, ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიმართვის გამოქვეყნებისთანავე, მწერალთა კავშირის სხდომის დარბაზში შესდგა მწერალთა და ლიტერატურული ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი.

მიტინგი გახსნა მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის ბიუროს პ/მ. მდივანმა ამხ. **სანდრო ეულმა.** შეეხო რა თავის შესავალ სიტყვაში მეორე იმპერიალისტური ომის მიერ შექმნილ უაღრესად დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობას, ამხ. ს. ეულმა ხაზგასმით აღნიშნა აუცილებლობა და სრული მიზანშეწონილება იმ ღონისძიებებისა, რომელთა გატარებისაკენ მშრომელ მასებს მოუწოდებს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიმართვა.

მწერალთა და მუშა-მოსამსახურეთა კრებამ დიდი გულისყურით მოისმინა მიმართვის ტექსტი.

სიტყვებით გამოვიდნენ ამხ-ები ბ. წულუკიძე, ერ. ასტვაცატუროვი, ი. ლისაშვილი და სხვები.

ეს მიმართვა, — სთქვა ამხ. წულუკიძემ, — დაძაბული საერთაშორისო ვითარებით გამოწვეული, სავსებით გამოხატავს ყოველი საბჭოთა პატრიოტის თავისი ქვეყნისადმი მზრუნველობას და მის მისწრაფებას, მიმართულს ჩვენი სამშობლოს შემდგომი სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისაკენ. ეს ბრძნული მიმართვა ჩვენს მიერ, როგორც ყველგან, მიღებულ უნდა იქნას ერთხმად.

ჩვენი ქვეყანა, — სთქვა ამხ. ერ. ასტვაცატუროვმა, — მთელს მსოფლიოში იყო და რჩება ერთად-ერთ ქვეყნად, სადაც სამუშაო დღე ყველაზე გაცილებით ნაკლებია. შრომის დისციპლინის განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, შრომის ხარისხის გაუმჯობესება, — ეს არის დღეს ყველა საბჭოთა მოქალაქის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობა.

ჩვენ ქვეყანას ომი არ უნდა, — სთქვა ამხანაგმა ი. ლისაშვილმა, — მაგრამ დღევანდელი ვითარება უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვავალებს ვემზადოთ თავდაცვისათვის. ყოველმა ჩვენგანმა სრული დატვირთვით უნდა იმუშაოს, რომ ამით მივსცეთ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს სრული შესაძლებლობა — ყოველმხრივ მომზადებული დახვდეს ყოველგვარ მოულოდნელობას.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება მთლიანად და სავსებით მხარს უჭერს მიმართვაში გათვალისწინებულ ღონისძიებებს და ჰპირდება პირნათლად შეასრულოს ყველა ვალდებულება სოციალისტური სამშობლოს წინაშე".

საიუბილეო საზეიმო სხდომა, მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავისადმი

22 ივნისს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში შესდგა საიუბილეო საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავისადმი.

სცენა საუცხოოდაა მორთული. მის ორივე მხარეს აღმართულია დიდი **ლენინისა** და დიდი **სტალინის** ვეებერთელა პორტრეტები. იქვე არის ამხანაგ **ლ. ბერიას** პორტრეტი.

სცენის სიღრმეში აკაკი წერეთლის პორტრეტია, რომელსაც ამშვენებს ორი სტრიქონი:

— „გმირებს უძახის, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა"...

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები — **ი. თავაძე, ა. კვაჭაძე, ვ. ეგნატაშვილი, გ. კიკნაძე, შ. დადიანი, ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, პ. ინგოროყვა, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, ი. მოსაშვილი, დ. შენგელაია, შ. რადიანი, ს. ეული, ი. გრიშაშვილი, ლ. გუდიაშვილი, ნ. ვაჩნაძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, დ. ყიფშიძე, ბ. გოგუა, დ. ანდღულაძე, ე. სოხაძე, ნ. ხარაძე, შ. ლამბაშიძე, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, გ. კილაძე, ნ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი, ა. აბარიანი, ი. ნიკოლაძე** და მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები: მოსკოვისა და ლენინგრადის მწერალთა ორგანიზაციებიდან — აკადემიკოსი **ი. ლუპოლი**, პროფ. **ვ. კირპოტინი, ვ. გოლცევი, კ. ლიპსკეროვი, ს. სპასკი, ბ. ბრიკი**, აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირიდან **მ. რაფილი**, სომხეთის მწერალთა კავშირიდან **რ. გრიგორიანი**, კარელია-ფინეთის მწერალთა კავშირიდან ამხ. **ბაზანოვი**, უზბეკეთის მწერალთა კავშირიდან **გაფურ გულიამი**, ჩრდილო-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მწერალთა კავშირიდან **თ. ეფხიევი**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მწერალთა კავშირიდან **დ. გულია**, ლიტერატურისა, ხელოვნებისა და მეცნიერების მრავალი სხვა მოღვაწე.

მთავრობის ლოჟაში არიან ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, ფ. მახარაძე, გ. სტურუა, ა. თოფურიძე, ს. იშხანოვი, ი. კოჩლამაზაშვილი, ე. ჩერქეზია, ა. მირცხულავა.**

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. **გ. კიკნაძემ.**

დარბაზში თავმოყრილნი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ წინადადებას საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

— **სტალინი!**

ეს სახელი, ყველასათვის მშობლიური და მახლობელი, იწვევს ხანგრძლივ დაუცხრომელ მქუხარე ოვაციას. გაისმის მისალმებათა შეძახილები დიდი **სტალინის**, ხალხთა ურღვევი მეგობრობის, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საამური და ბედნიერი ცხოვრების შემქმნელის პატივსაცემად.

საპატიო პრეზიდიუმში სხდომა ირჩევს საკ. კ. პ. (ბ) პოლიტბიუროს დიდი **სტალინის** მეთაურობით.

დიდი ქართველი მგოსნის ლექსები ჟღერდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, გაისმოდა მოძმე ხალხთა წარმომადგენლების სიტყვები ქართველი ხალხისადმი ძმური მისალმებისა. ეს იყო ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების დემონსტრაცია, ზეიმი ხალხთა სტალინური მეგობრობისა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებში დანერგა და განამტკიცა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ.**

აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **პ. ინგოროყვა.** მოხსენებას დიდი ყურადღებით უსმენდნენ.

გულთბილი სიყვარულით გაჟღენთილი სიტყვა, მიძღვნილი აკაკი წერეთლისადმი, წარმოსთქვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ორდენოსანმა შ. დადიანმა. თავის გამოსვლა ამხ. შ. დადიანმა დაამთავრა:

— დიდი აკაკი უკვდავია!

სსრკ მწერალთა კავშირის სახელით დიდი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი **ი. ლუპოლი.** დაწვრილებით შეჩერდა რა აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე, მან იგი დაახასიათა როგორც უაღრესად ინტერნაციონალური პოეტი.

პირველადაა თბილისში ახალგაზრდა კარელია-ფინეთის რესპუბლიკის მწერალი ამხ. ბაზანოვი. მის გამოჩენას ტრიბუნაზე დარბაზი უდიდესი აღფრთოვანებით ხვდება.

ქართული კლასიკური ლიტერატურის გამოჩენილმა მკვლევარმა პროფ. კ. კეკელიძემ აკაკი წერეთელი დაახასიათა როგორც საზოგადოებრივი მოღვაწე, თავისი დროის მოწინავე იდეების მატარებელი პოეტი.

ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ ილაპარაკა აზერბაიჯანის მწერალთა წარმომადგენელმა მ. რაფილიმ და სომხეთის მწერალთა წარმომადგენელმა რ. გრიგორიანმა.

უზბეკეთის პოეტმა გაფურ გულიამმა მისასალმებელი სიტყვა დაამთავრა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსების წაკითხვით.

ჩრდილო-ოსეთის ასს რესპუბლიკის მწერალმა ამხ. ეფხიევმა დამსწრეთ გააცნო ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ჩრდილო ოსეთის დედაქალაქში აკაკი წერეთლის სახელის უკვდავსაყოფად.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა ლაპარაკობს აკაკი წერეთლის პოეზიის აღმზრდელობითი მნიშვნელობაზე და ჩვენი ხელოვნების მოღვაწეთა ამოცანებზე დიდი პოეტის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციის საქმეში.

ტრიბუნიდან ლაპარაკობს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვ. ეგნატაშვილი. ის აღნიშნავს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის ღონისძიებებს აკაკი წერეთლის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

საზეიმო სხდომამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი დეპეშა ხალხთა დიდი ბელადის — იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინისადმი.** დიდხანს გრიალებს მქუხარე ოვაცია, საზეიმოდ გაისმის „ინტერნაციონალი".

დიდის აღფრთოვანებით მიიღეს აგრეთვე დეპეშა ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიასადმი.**

საზეიმო სხდომის შემდეგ შესდგა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საუკეთესო არტისტულმა ძალებმა.

თბილისი. საზეიმო მიტინგი აკაკის საფლავზე მწერალთა პანთეონში—მთაწმინდაზე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალაქ ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტისა, ქალაქ ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლისა და დაბა საჩხერის საშუალო სკოლისათვის ქართველი ხალხის დიდი პოეტის აკაკი წერეთლის სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილდეს ქ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის პროფესორ - ლექტორთა, სტუდენტთა, მოსამსახურეთა და ქ. ზუგდიდის, ქ. ქუთაისისა და დაბა საჩხერის საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შუამდგომლობა და, ქართველი ხალხის დიდი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, მიეკუთვნოთ აკაკი წერეთლის სახელი ქ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტს, ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლასა და დაბა საჩხერის საშუალო სკოლას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქალ. თბილისი
1940 წ. 22 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკაკი წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებთა მთარგმნელების საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ

ქართველი ხალხის დიდი პოეტის აკაკი წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნის საქმეში წარმატებითი მუშაობისა და მოძმე რესპუბლიკების ხალხთა შორის ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით მწერლები:

1. სერგი დიმიტრის-ძე **სპასკი;**
2. ბორის ილიას-ძე **ბრიკი;**
3. ვიქტორ ვიქტორის-ძე **გოლცევი;**
4. მარკ არკადის-ძე **ტარლოვსკი;**
5. კონსტანტინე აბრამის-ძე **ლიპსკეროვი;**
6. მიკოლა პლატონის-ძე **ბაჟანი;**
7. იანკა დომინიკის-ძე **კუპალა;**
8. მირვარი **დილბაზი;**
9. ნიგიარ **რაფიბეილი;**
10. ავეტიკ ისააკის-ძე **ისააკიანი;**
11. გურგენ მიხეილის-ძე **ბორიანი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქალ. თბილისი
1940 წ. 22 ივნისი.

ზეიმი აკაკი წერეთლის სამშობლო სოფელში

24 ივნისს, საღამოს თბილისიდან სხვიტორში გაემგზავრნენ ა. წერეთლის საიუბილეო კომიტეტის წევრები, ქართველი მწერლები და მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები. დელეგაციას დიდი შეხვედრა მოუწყვეს ჭიათურის სადგურში, სადაც თავი მოეყარათ მაღაროელებს, კოლმეურნეებს და ინტელიგენციას. სახელდახელო მიტინგზე, რომელიც გახსნა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **გ. კიკნაძემ**, ჭიათურელ მშრომელებს მიესალმა პოეტი **ირაკლი აბაშიძე.**

მხურვალე სიტყვით მიმართა ჭიათურის სახელოვან მაღაროელებს აზერბაიჯანელმა მწერალმა **რაფილიმ.**

ნაშუადღევის 1 საათზე სხვიტორში პოეტის ეზო-გარემო აივსო მრავალი ათასი მშრომელით. შუა ეზოში კაკლის ორი ხის შტოებზე გადაჭიმული იყო წითელი ფარჩა, რომელზედაც აღბეჭდილი იყო უკვდავი სიტყვები:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვტირი მე".

პოეტის სახლის ფასადი მორთული იყო ხალხთა დიდი ბელადის, დიდი **სტალინის** პორტრეტით და ჩვენი საამაყო მწერლების — აკაკის, შოთას, ილიას, შევჩენკოს და ყაზბეგის პორტრეტებით.

მიტინგი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ბიწაძემ. მან აღნიშნა ის ნამდვილი სახალხო ზეიმი, რომლითაც საჩხერის მშრომელები შეხვდნენ აკაკის დაბადების ასი წლისთავს. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, განათლების სახალხო კომისარმა ამხ. გ. კიკნაძემ. მან აღნიშნა, რომ ცარიზმის სუსხიან პირობებში ქართველი ხალხის გამოღვიძებას უმღეროდა აკაკი, რომელიც ხალხს უნერგავდა პატრიოტიზმის გრძნობას და მშრომელთა სიყვარულს. აკაკი უყვარდა ხალხს ისევე, როგორც უყვარდა პოეტს ხალხი. მისი სანუკვარი ოცნება განხორციელებულია და საჩხერის მშრომელებს შეუძლიანთ იამაყონ თავისი დიდებული შვილით.

ამხ. შალვა დადიანმა მიტინგზე გამოსვლისას აღნიშნა პოეტის დამსახურება ქართველ ხალხში თავისუფლების მოყვარეობის გრძნობის გაღვივების საქმეში. იმ კულტურის ნიადაგზე, რომლის ერთგული მუშაკიც აკაკი იყო, წარმოიშვა დიდი **სტალინი**, რომელმაც ხალხებს მოუტანა ბედნიერება. მხურვალე ოვაციებით ხვდებოდნენ მიტინგის მონაწილე კოლმეურნენი ორატორების განცხადებას, თუ როგორ ზრუნავენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისათვის დიდი **სტალინი** და მისი ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი **ლ. ბერია.**

მგზნებარე სიტყვით მიმართა დამსწრეთ აკადემიკოსმა **ლუპოლმა**, რომელმაც ხაზი გაუსვა კულტურის აყვავებას ჩვენში დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე — **ბ. ქლენტი**, სომხეთის მწერალი **ბორიანი**, უზბეკი პოეტი **გაფურ გულიამი**, სამხრეთ-ოსეთის მწერალი **ჩოჩიევი**, კარელია-ფინეთის მწერალთა კავშირის სახელით **ბაზანოვი**, რომელსაც მიტინგის მონაწილენი მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ, როგორც ახლად შემოერთებული მოკავშირე რესპუბლიკის შვილს. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა **რაფილიმ.**

აღტაცებით შეხვდნენ დამსწრე სხვიტორელები კოლმეურნე საჩინო გოშაძის გამოსვლას.

მოგონებით გამოვიდა აგრეთვე სავანელი კოლმეურნე **ალფეზ ზეინკლიშვილი**, რომლის სიტყვა გამსჭვალული იყო დიდი სტალინისადმი მადლობის გრძნობით. საჩხერისა და ჭიათურის რაიონების მშრომელთა სახელით სტუმრებს მიესალმნენ **მეგრელაძე** და **მეცხოვრიშვილი.** აკაკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა **დ. თომაშვილმა. ალიო მაშაშვილმა** წაიკითხა აკაკის „განთიადი". ლექსები წაიკითხეს აგრეთვე საჩხერის მოსწავლეებმა და პიონერებმა.

ტაშის გრიალსა და ოვაციებში მიტინგმა ერთხმად გადასწყვიტა და მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს**, რუსი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ **მოლოტოვს** და ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას.**

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნათ აგრეთვე ამხანაგებს **ქ. ჩარკვიანს** და **ვ. ბაქრაძეს.**

საზეიმო მიტინგი აკაკის საფლავზე

დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავი აღნიშნა მთაწმინდაში პოეტის საფლავთან ხალხმრავალი საზეიმო მიტინგის მოწვევით.

ძვირფასი და საყვარელი პოეტის ყვავილებით შემკულ საფლავთან შეგროვდნენ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული მწერლები და პოეტები, კრიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები. სტუმრებს შორის იყვნენ აკადემიკოსი **ი. ლუპოლი, ვ. კირპოტინი, გაფურ გულიამი, ს. სპასკი, ვ. გოლცევი, ვ. პერცოვი, მ. რაფილი, ჯ. ჯაფარლი, ზ. ხალილი, სეით-ზადე** და სხვ. აქვე თავი მოიყარეს აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქ. განათლების სახალხო კომისარმა ამხ. **გ. კიკნაძემ**, საქართველოს მწერლებმა და პოეტებმა **ი. აბაშიძემ, ს. შანშიაშვილმა, გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა, ლ. ქიაჩელმა, დ. შენგელაიამ, ა. აბაშელმა, პ. ინგოროყვამ, გ. ქიქოძემ, კ. ჭიჭინაძემ, შ. რადიანმა, გ. ქუჩიშვილმა, კ. კალაძემ, ვ. გორგაძემ, ლ. ასათიანმა, კ. ბობოხიძემ, მარიჯანმა, მ. პატარიძემ, გ. გიასელმა, ხ. პლიევმა, ე. პოლუმორდვინოვმა ი. ალლაძემ, ი. იმედაშვილმა, ლ. ბზვანელმა** და სხვ.

მიტინგზე დიდძალი ხალხი შეგროვდა. მოვიდნენ მუშები, მასწავლებლები, მოსწავლეები, ექიმები, ინჟინრები.

მიტინგი გახსნა საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მდივანმა, ორდენოსანმა პოეტმა **ირ. აბაშიძემ**, რომელმაც წარმოსთქვა მოკლე და შინაარსიანი სიტყვა. შემდეგ მიტინგზე გამოვიდა ორდენოსანი პოეტი **გ. ლეონიძე**, რომელმაც წაიკითხა აკაკისადმი მიძღვნილი ახალი ლექსი.

მიტინგზე შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა აკადემიკოსმა **ი. ლუპოლმა.**

აკადემიკოს ლუპოლის შემდეგ აკაკის ლექსის—„მთაწმინდას" რუსული თარგმანი წაიკითხა **ვ. გოლცევმა** და მიძღვნილი აკაკისადმი საკუთარი ლექსი უზბეკურ ენაზე წაიკითხა უზბეკეთის პოეტმა **გაფურ გულიამმა.**

მიტინგის დასასრულ მგოსნის საფლავი შეამკეს საიუბილეო კომიტეტის, საქართველოს მწერალთა კავშირის, სსრკ მწერალთა კავშირის, მსოფლიო ლიტერატურის მ. გორკის სახელობის ინსტიტუტის და საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლების გვირგვინებით.

გ ლ ე ხ ე ბ ი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

— მიწა!

აგრონომი ჩამოქვეითდა, თალაში შეფუთვნილი ნერგები ღობეს მიაყუდა.

— არა მაქვს, — ცივად მოუჭრა ტარასიმ.

ბრაზი ერეოდა, რადგან გრძნობდა, დღესაც უხეხუბრად ვერ დაშორდებოდნენ ერთმანეთს.

აგრონომმა მსხვილად დაჭრილი თუთუნი ხელისგულზე მოფშვნა, ჩიბუხი გატენა.

— ქარებმა დამხუთა, ტარასი! ორი კვირის შვებულება ავიღე, მარა წყალტუბო არც გამხსენებია. ავდექი და ორჯერ მოვიარე ჩაქვის მამული, რომ ეს იშვიათი ნერგები მეშოვნა.

ტარასიმ ხელისგულები გაუშვირა.

— ამაზე თუ დარგავ, თორემ მეტი არაფერი მომეძევა თავისუფალი.

— რომ იცოდე, რა ჯიშის...

— არ გამაგონო! მექიმ სამოსახლო მიწა ითხოვა. სული არ დაეკავება, ისეთი ბიჭია, მარა ისიც გავაწბილე, საგაისოდ დავპირდი.

— ერთი ქცევა მხოლოდ!

— ანარიაში ჩიტი ვერ დაფრინდება მიწაზე, ისე მოვრგეთ და მოვთესეთ იქაურობა...

— დაგენდურები, ტარასი!

— ნეტავი იმ დღეს მოვესწრებოდე!

— მაშ გათავდა ჩვენი მეგობრობა?

— გათავდა,—მშვიდად დაუდასტურა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

ბოგირზე ჯორი ბრაგუნობდა, ბალახისკენ იწევდა, მაგრამ ბუზანკალები არ ასვენებდნენ. ტლინკებს ყრიდა, თავს ბაყვებში ირტყამდა.

აგრონომს უცეცხლო ჩიბუხი პირში გაერჭო და გულდასმით მისჩერებოდა კატისწვერაზე წამოქოჩრილ ღრუბელს, თითქოს ამ ქვეყნად მეტი არაფერი ესაქმებოდა.

ტარასიმ ჯიბე მოიფათურა.

— ცეცხლი გინდა?

— ღვთის წყალობაც არ მინდა შენგან! — წაიღრინა მოხუცმა, ჩიბუხი გაჯავრებით დაფერთხა და მძიმედ ამოისუნთქა.

— მაშ გათავდა!

— გათავდა...

ჯორი ნერგებს მიეტანა. აგრონომი დაფეთდა, რომ მიწაზე ათრეული ძღვირი აელო. უცებ შესდგა, მობრუნდა, გალიმებულ ტარასის მოძულე თვალი შეავლო.

— შევაჭამო? — დაემუქრა და ჯორი ნიგაზე მიუშვა.

— შეაჭამე, — შეუბრალებლად მიაშავა ტარასიმ.

— ნუ გადამრიე კაცი! — იყვირა გულჩვილებულმა მოხუცმა, პირუტყვი ნერგებს მოაცილა.

— ნუ შემძულე შენი დანახვა!—წამოსცდა ტარასის და უმალვე პირს ვარდი გადაიფინა, რომ მწვავე სიტყვა გაენელებინა.

— ჯვარი გწერია ჩემგან, თუ ასე გძულვარ! — აჩქარებით წაიბურტყუნა აგრონომმა, უზანგში ფეხი შესდგა, და, სანამ სახედაშაქრული ტარასი სიტყვას მიაშველებდა, ჯორი უკვე ბონდისაკენ მიჩინდრიკობდა.

ტარასი დაიბნა, გული ვერ იხმო, მართლა ეწყინა თუ თავი მოიკატუნა.

მებოძირზე აგრონომმა მოიხედა.

— ჯვარი გწერია ჩემგან!

ტუჩების კიდე-კუთხეში მზაკვრული ღიმილი ჩაეგლისა. ხმაშიც კმაყოფილება ჩაჭფენოდა, თითქოს სასამართლოდან ბრუნდებოდა საქმე-მოგებული.

„კიდევ მაჯობა წყეულმა!“—ჩაიცინა ტარასიმ.

ნერგებს მიძინებული ჩვილივით მზრუნველად ხელი მოჰხვია და ეზოში შეიტანა.

* * *

გაზაფხულის მუწუხი რომ შენელდა, აგრონომმა ვენე უშვერიძეს დაუძახა სანერგეს დასათვალიერებლად. უშვერიძე კრუხის პალოსავით დაბალი გლეხი იყო; ხელები მუდამ ისე დაჭქონდა, თითქოს რაღაცა უნდა აელო. კოლექტივში გავლენიან კაცად ითვლებოდა.

სანერგეში შუადღისას მივიდა. ტალახიანი წაღები მოლზე შეახოცა და ჭიშკარი ფრთხილად შეაღო, თითქოს აზნაურის ეზოში შედიოდა.

აგრონომს ცუდად ენიშნა მისი ასეთი მოკრძალება.

უშვერიძემ ახსნა-განმარტებაც თავაზიანად მოისმინა.

გაიხარა, როცა აგრონომმა გახარებული ნამყენი აჩვენა.

მოიწყინა, როცა მოწყენილ ნარგავს ჩაუარა.

მერე მასპინძელს თვალი თვალში გაუყარა და მიზეზიანად ჰკითხა:

— ვთქვათ დევიშალეთ, მერე?!

— რა მერე? — შეცბა მოხუცი.

— ეჰ! — ამოიოხრა უშვერიძემ და იდუმალ ფიქრებს თავის ქნევით დაექადა. პირქუშად გამოეთხოვა სახრად დარჩენილ აგრონომს.

ბრჯგალი კაცი იყო, უხასიათო. შავი ფიქრების კვალი უხვად დამჩნოდა შუბლზე.

ურწმუნო კაცის საქციელი მოსდგამდა ყველაფერში, როგორც მრავალჯერ იმედგაცრუებულ ადამიანს.

საგნებს ისე ეხებოდა, თითქოს არ სჯეროდა მათი სიმტკიცე. ფეხსაც მიწაზე ისე ადგამდა, თითქოს ბეწვის ხიდზე გადიოდა.

პირველად ტრაქტორი რომ დაინახა, „არ წავა“ გადასწყვიტა მაშინვე; ჩაა რომ დათესეს, „არ ამოვა“, ამტკიცებდა. „არ წავა“ და „არ ამოვა“ ენაზე ეკერა.

ქვეყანა რომ დაქცეულიყო, კრებას არ გამოსტოვებდა. კართან დაჯდომა უყვარდა. შინობას ცეცხლი რომ წაკიდებოდა ან მიწისძვრა მომხდარიყო, გარედ ადვილად გავარდებოდა. იჯდა ასე ჩუმად, სანამ აგრონომი მიწას არ მოითხოვდა ციტრუსების გასაშენებლად. მაშინ წამოდგებოდა, ლამაზად დაყენებულ წვერს ხელისგულში მოფოცხავდა და ურჩხად წამოიძახებდა:

— ვთქვათ, დევიშალეთ, მერე?

ამას იტყოდა მხოლოდ, თითქოს ეშინოდა, მეტი რომ ეთქვა, თვითონაც დაიშლებოდა.

უბადლო მეგუთნე იყო. გვალვა რომ მოძალდა, ყანაში შუაღამისას გარბოდა. ნახევარ ქცევას მაინც მოხნავდა, ვიდრე მიწას ნამი შეაშრებოდა. ჯავრობდა, სხვები რომ იგვიანებდნენ და გაქვავებულ ნიადაგს ღორივით ჩიჩქნიდნენ.

ხალისი მაინც არ ეტყობოდა უშვერიძეს ნახელავს. თითქოს იმიტომ მუშაობდა, რომ უსაქმობა უფრო მოსაწყენი იყო.

აგრონომს ვერ იტანდა, სადაც მიუსწრებდა, მაშინვე მიაშავებდა: „ვთქვათ დევიშალეთ, მერე?!

ერთხელ კლუბში საგაზაფხულო თესვის გეგმას იხილავდნენ. აგრონომმა გულისტკენით აღნიშნა, — მრავალწლიან ნარგავებისათვის მეტი ფართობი უნდა დაგვეთმოთ. სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ ტრიბუნასთან უშვერიძე გაჩნდა. ისე დაქიმაჩებული გაემართა, თითქოს ვინმე უნდა დაებრდღვნა.

ამხანაგებს რომ გამოეყო და ტრიბუნაზე ავიდა, მხნეობაც მაშინვე დაეკარგა. ეუცხოვა, რომ ასე მაღლა და მარტო იდგა ხალხის წინაშე. დაიბნა, უცხო ოჯახში მოხვედრილ კაცივით შეიშმუშნა.

— დღიწყე! — ხმა მიაშველა ტარასიმ.

— ნუ მაწვალებთ, კაცო! — იყვირა უშვერიძემ, პირისახე ისე მოექცა, თითქოს პირში უგემური ლუკმა ედო.

— დაბლა ჩადი, ვინ გიშლის! —წასჩურჩულა მიხვედრილმა ტარასიმ. უშვერიძე ტრიბუნიდან ჩამოვიდა. ხალხში რომ გაერია, წელში გაიმართა, ლამაზი წვერი ხელისგულში მოფოცხა.

—ვთქვათ, დევიშალეთ, მერე?! მისი უხრინწო ბანი მძლრედ მოეფინა დარბაზს.

— შვილი მამას ეყრება, ერთი სისხლის ძმები ორხანი ხარებივით აქეთ-იქით იწევენ; ჩვენ რა წითელი კოჭები ვართ! ხომ შეიძლება, ერთმანეთს ვერ შევეწყოთ! შეიძლება. მაშინ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ ჩემს ნაოფლარ სიმინდს ძირფესვიანად მოვთხრი და შინ მივიტან. მე შენ გეტყვი, მოთხრა გამიჭირდება! ამხელა ხეებს რა მოვუხერხო?! თავი უნდა მივაკლა, შვილივით უნდა გამოვზარდო... გაიზრდებიან და ფესვებს ქვესკნელში ჩაუშვებენ! მიდი და მოთხარე, თუ ბიჭი ხარ! დავტოვო და ცარიელ-ტარიელი დავრჩე? ვერა, გლეხკაცი ვერ დატოვებს თავის ნაოხარს! რა გამოვიდა?! მინდა-არ-მინდა, ამ ხეებთან უნდა ვეტრიალო, სიკვდილამდე დაბმული უნდა ვიყო! ხვადაგი ხომ არა ვარ...

აუჩქარებლად ლაპარაკობდა. მისი განუსჯელი გულწრფელობა მომხიბლავ ძალას ჰმატებდა თვითეულ სიტყვას. ხალხიც სულგანაბული უსმენდა.

აგრონომი წინა რიგში მჯდომ ჯიშკარიანს უთვალთვალებდა.

ჯიშკარიანს თავი ჩაეღუნა, პაიჭებს ისწორებდა. მერე ადგა და უკან გადაჯდა. იქნებ უშვერიძის ალსარება ეჩოთირა!

კერძო გლეხებიც უნდობლად ეკიდებოდნენ რისკის მოყვარულ აგრონომს. „დაგვამშევს“, ბუტბუტებდნენ და სანერგეს სათოფედ არ ეკარებოდნენ.

და თუ იშვიათად თითო-ოროლა ნამყენს მაინც წაიღებდნენ, — ეზოს დასამშვენებლად, თვალის გასახარებლად უფრო მიჰქონდათ, და არა მეურნეობის გარდასაქმნელად.

— მშიშრები, დამცინიან კიდეც! — ჯავრობდა გულმოკლული მოხუცი.

ჭირის-დღესავით ეზიზღებოდა კერპი, უგუნური მეზობლები, რომლებსაც „დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს ურჩევნოდათ“.

სიმინდი მათთვის ქვეყნის სიმტკიცე იყო.

ბევრჯერ განიზრახა დაძმარებულმა აგრონომმა, განშორებოდა ამ უმადლო ადამიანებს, მაგრამ წამიერ იძულეგილს მაშინვე ძველი, ნაცნობი სევდა დაძალავდა, — სევდა და სიბრალული, რომ იმერეთის დაშაქრულ ჭალებს და სერებს სიმინდისაგან სული ხდებოდა.

საღამოხანს ძვალ-რბილ დაშორებული მოხუცი თბილსა და სურნელოვან მოლზე დაეგდებოდა. ქახქახა ვარსკვლავებს თვალებს მიაბჯენდა, ოცნებას მიენდობოდა... უკვალო ცეცხლივით გიზგიზებენ ფორთოხლის ბაღები, ვერცხლისფრად ლივლივებს ტანადი რამი... ჩაის ხუჭუჭა ბუჩქები, წისქვილის ქვასავით ფართო და მკვრივი; ოცნებასავით აყვავებული თუნგო...

ხანდაზმული აგრონომი ლადღ გეგელია დღესაც ისეთივე მეოცნებე იყო, როგორც ჭაბუკობისას. პირისახის იერიც ძველი შერჩენოდა, თითქოს ახლაც შზნებას ულიმოდა მსუბუქ რულში. მხოლოდ თვალის უპეებთან ბატიფეხურივით თავმოყრილი ნაოჭები უფრო გახშირებოდა, —კეთილი ნაოჭები.

ოცნებობდა, რადგან მოუსვენარ გულში ბევრი აუხდენელი ნატვრა და სურვილი ბუდობდა.

ოცნება მისი სიფხიზლე იყო: ოცნებობდა, რომ სისხლი არ განელებოდა, გულში ჩაკირულ მიზანს ობი არ მოეკიდებოდა. ოცნება კარს უხშობდა უიმედობას და მოხუცს ჭარმაგად ინახავდა, როგორც აფუებული მიწა მარცვალს ალვებს.

სოფლის კერპობა გულს არ უტეხდა. იმერელი გლეხის ჩაჩულა მეურნეობა საცდელ მცენარეს აგრე ადვილად ვერ შეიგუებდა, ზარალი რომ მოსვლოდა, მთელი ოჯახი დაემშეოდა. ამიტომ აგრონომიც კოლმეურნეობას ეძალებოდა, რომ ოცნებისათვის ფართო სარბიელი მიეცა. „შრომის“ მოწყობისთანავე სოფელში გაჩნდა, სიცოცხლე გაუმწარა ისედაც ბუდიდან ამოვარდნილ ტარასის. კვირას არ გაუშვებდა, რომ კოლექტივში საიმეითო ნერგი არ მოეტანა.

„მიწა!“ — იტყოდა მისი დანახვით გულგახეთქილ ტარასის და ჩხუბიც მაშინვე ატყდებოდა. იჯრონებოდნენ, ცხარობდნენ, ყმაწვილეპივით იბუტებოდნენ და მაინც არ ეთმობოდნენ ერთმანეთს.

„ველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“,— იტყოდა ტარასი, როცა ენამჭევრი აგრონომი ნახევარ ქცევა იწერს გამოსტყუებდა ანარიაში.

აგრონომის ჩამოსვლის შემდეგ მეურნეობა ერთობ გართულდა. სიმინდისა და ლობიოს თესვაში ჩამომხმარ იმერელს გაუჭირდა ახალი ნერგების მოშინაურება. ტარასი ნანობდა კიდეც, რომ ხელი ფართოდ გაშალა და გამოუცდელ მიწებს დანდო: ნამყენი კვირტობას იგვიანებდა. დილიდან საღამომდე სერებზე დაღოღავდა. ეშინოდა, მიწა არ მომიცდესო. ჯავრისაგან აღარ იყო.

აგრონომი მაინც არა სტკრებოდა. დარწმუნდა, — ზამთარში ანარიის სერებზე უფრო თბილოდა, ვიდრე დაბლობში. შარშანდელმა სუსხიანმა ზამთარმა, ჩაქვის პლანტაციებიც მოჰყინა, ზღვისპირად გაშენებული, თუმცა ხეები ორკეცად შეფუთვნეს და ცეცხლიც მიაშველეს. ისეთი კოცონები დაუნთეს,—მთელი სანაპირო ქიაკოკონობის ღამეს ჰგავდა. ზღვიდან დაშორებულ უდაბურ ანარიაში კი ბედის ამარად მიგდებულ ნარგავს ყინვა არც უგრძვნია. ჩინებულად გამოიზამთრა, თითქოს სათბურში ყოფილიყოს. გაოცებული გეგელია გულდასმით შეუდგა ამ კლიმატური საიდუმლოების გამოცნობას: ანარიის მცენარეულობა შეისწავლა, მერე ქუთაისიდან მოწყენილი პირისახის კაცები ჩამოიყვანა და იმდენი ატარა სერებზე და ხევებში, სანამ თავათ ფეხზე არ ჩამოწყდა. აღმოჩნდა, რომ, ანარიას ზედაპირის თავისებურების გამო, კავკასიონის ქედიდან გადმოხვეწილი ცივი ჰაერი ანარიას სერებს ვერ ახწევდა. ვიწრო ჭალები მხარს უქცევდნენ, არხებივით განზე აგდებდნენ ამ დამღუპველ ჰაერს. ასეთი საჰაერო დრენაჟის წყალობით ანარია მისწრება იყო ციტრუსების გასაშენებლად, — და აგრონომსაც ენაზე მხოლოდ „ანარია“ ეკერა.

იმუქრებოდა, იხვეწებოდა, თუ გაუვიდოდა, ტყუილსაც არ ითაკილებდა, ოღონდ კადარში დაყრილი სერები ხელში ჩაეგდო.

გული ვერ ეხმო, რატომ აბრკოლებდა ტარასი ამ ფასდაუდებელი ნამყენის მოშენებას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე უმიწობას აბრალებდა ყველაფერს. მიწა მართლაც ცოტა იყო, — ჩვიდმეტი კოლმეურნე პირაჭუშული შესცქეროდა აგრონომს: სათუო ცდებისათვის ვერ იმეტებდნენ მამასისხლად ნაშოვარ მიწას. ნუთუ ტარასიც გლეხების ფეხისხმას აჰყვა? მოხუცმა თვალყური დაიჭირა, მაგრამ ისეთი ვერაფერი შენიშნა, რომ ეჭვი განმტკიცებოდა. ტარასი არ იყო დამყოლი კაცი, როცა სასწორზე კოლმეურნეობის ბედიღბალი დაიდებოდა. შარშან კაცი არ მიემხრო, რომ დაქსაქსული ყანები ბარნაბა საგანელიძის ჭალაზე გადაეცვალა და ერთიანი ფართობი მოეწყო. ტარასიმ ულის ღვლეჭივით დაგრიხა აჯამი გლეხები, — თავისი გაიტანა!

ახლაც გაიტანდა, რომ სდომებოდა, მიწაც გამოჩნდებოდა, მაგრამ, რაღაც მოსაზრების გამო, ტარასი აფერხებდა აგრონომის წამოწყებას. რატომ? ეს ვერ გაეგო გუმან-გაწბილებულ მოხუცს.

მექის ეცოდებოდა სოფლის ყბაში ჩავარდნილი მოხუცი.

თვითოეული მცენარე პატარძალივით ჭირვეული გამოდგა. ზოგი მოულოდნელად მოიწყენდა, ქანი დაემაბრებოდა; ზოგიც შადრევანივით იფეთქებდა მიწიდან.

ოისვა რომ დაიწყო მექი მარტო დარჩა სანერგეში.

ტარასიმ ნერგის ამხვევი კაციც ვერ მოაშველა. მყნობის ხანმოკლე სეზონში ამოდენა სანერგეს მექისთანა დევკაციც ვერ გასწვდებოდა. აგრონომს გეგმა ეშლებოდა. მექი თავს იმტვრევდა, რომ გამოსავალი ეპოვნა. თანდათან იპყრობდა მაცთური აზრი, იქნებ მყნობის წესი გავამარტივო და ხელსაქმის რაოდენობა შემცირდესო; მცირეხანიც რომ მოეგო, შრომადღის ნაყოფიერება ერთი-ორად გადიდდებოდა.

აქამდე ისე ამყნიდა, როგორც აგრონომმა შეასწავლა.

პირველად საძირეზე უთავო ჯვარი უნდა ამოეჭრა. მერე კალმიდან სანამყენე კვირტს აიღებდა, დანის ყუით ნაჭდევს ოდნავ გადასწევდა და შიგ კვირტს შეაცურებდა.

ხელებში ცეცხლი უნდა წაჰკიდებოდა მყნობელს, რომ კვირტს გამრობა არ მოისწრო და ნაჭდევსაც სინედლე შერჩენოდა.

მექი მყნობის სხვადასხვა წესს გაეცნო და თამამად შეუდგა საცდელ მუშაობას.

— ქვეყნის გადაბრუნება გინდა, ბიჭო, არ იქნება! ამ საქმეში საუკეთესო მყნობელნიც გაწბილდნენ, — უთხრა მოხუცმა, მაგრამ მექიმ წარბიც არ შეიხარა.

იობის მოთმინება უნდა ჰქონოდა კაციაშვილს, რომ ცხრაჯერ გამტყუნებული ნერგი მეათედ დაემყნა.

დაემყნა იმ მომსპობი ვარაუდით, რომ შეიძლება ახლაც არაფერი გამოსულიყო.

იხტიბარს არ იტეხდა. წინაღობა ბრძოლის ხალისს ჰმატებდა. რას არ იგონებდა, საიდან არ უვლია, რომ მყნობის ყველა საიდუმლოება გაეგო. მოხუცს ანცვიფრებდა მისი უანგარო ერთგულება, პირუთვნელი თავმდაბლობა, მუყაითობა.

სადმე ლობეში წაფარდნილ სარსაც არ ჩაუვლიდა გულგრილად. ვისიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც შეხედავდა, უპატრონებდა. ალალი გული რომ ჰქონდა, სოფელიც პატივს სცემდა, სიტყვას უქმად არ უკარგავდა. ტრაბახი და თავის გამოჩენა არ უყვარდა. წახდენილს რომ აკეთებდა, წაუხდენელსაც ადვილად ანდობდნენ, და მექიც თავის დაუნებურად სოფელში თავკაცობდა.

სახელთან ერთად დარდიც ემატებოდა. გაცხარებულ მუშაობაში ან საუბარში რომ იყო, უცებ თვალის ჩინი დაელეოდა — ამ ქვეყნის სხივი და სითბო გაუქრებოდა.

გაფითრდებოდა, თითქოს რაღაც იდუმალი ვარამის უფსკრულში იხდებოდა.

— რისთვის, ბიჭო, რისთვის? მითხარი, რა გაწუხებს? — ამაოდ იხვეწებოდა გულჩაწყვეტილი მოხუცი.

გაზაფხულზე სამუშაოც გაინაწილეს. აგრონომი კოლმეურნეობას მიემაგრა, მექი კერძო გლეხებს შეუჩნდა. დღე-ღამეს ასწორებდა, რომ ურწმუნო მეზობლების გული მოეგო. ყველაზე უფრო ასლან მარგველაძეს ელოლიავებოდა.

მარგველაძე ქვეიანი თავის მოიმედე გლეხი სჩანდა. მიჭუტულ თვალებში ეშმაკური ჭავლი უციმციმებდა. ქვასანაყივით მაგარი ნიკაპი ჰქონდა. მისი გამჭვალავი გამოხედვა მოკამათეს მუდამ აგრძნობინებდა: „ჩემზე მეტი, ბიძიკო, რა უნდა იცოდეო!“ რასაც იცინებდა, ღდინში ჩაჰყვებოდა.

მექიმ ჩინებულად გახარებული ნამყენი მიაწოდა.

— განა ფრანცუსი ვარ, ფორთოხალი მოვაშენო!—ჩაიცინა მარგველაძემ და ხელიც ისე უიმედოდ ჩაიქნია, რომ ჭაბუკს სიტყვა პირში შეაწყდა.

ერთხელ ძილში ჭიშკრის ჭრიალი ჩაესმა. აგრონომი ეგონა, — მოხუცი ადრე ადგომას დაჩვეული იყო.

ხანი გავიდა, კარავში არავინ შემოსულა.

წამოდგა. როგორ გაოცდა, დილის ბინდბუნდში ასლან მარგველაძე რომ შენიშნა.

საქციელი მავნეს არ უგავდა. მექი მაინც შეფიქრდა. უდროო სტუმარს მზვერავი თვალი შეავლო.

მარგველაძე თვალწახულივით დასჩერებოდა ხალივით აფერადებულ სანერგეს. მერე ჩაიმუხლა და ქვალში ამოქოჩრილ ნამყენს ღერო გაუსინჯა, ფოთოლი მოყნოსა.

მექის ღიმილი მოერია. ხალისიანად მიესალმა.

მარგველაძეს საქციელი წაუხდა. ეტყობოდა, არ იცოდა, კარავში თუ ვინმე ღამეს ათევდა.

— მოგწონს?

მექიმ ლიმონების ბნელი კორომი ანიშნა.

— ეჰ, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი! დევიტანჯე კაცი! — ამოხდა მარგველაძეს.

— რომ დაგტანჯა ასლან! — შეეკვირვა მექიმ, თუმცა გულმა მაშინვე უთხრა, რა ურხილავი ძალა აწრიალებდა მარგველაძეს.

იგი მუდამ იტანჯებოდა, როცა სოფელში ახალი საქმე იწყებოდა.

ანდეზედ სიარული არ უყვარდა. ყოველი საქმე საეჭვოდ მიაჩნდა, თუ საკუთარი ხარივით არ იცნობდა. თანაც გული უკვდებოდა, ვაითუ საეჭვო უეჭველად იქცეს და მეზობელმა მიმასწროსო. ვერ ისვენებდა ვერცხლისწყალივით.

ახლაც ასე დაემართა. აგრონომს მხარი არ დაუჭირა, არც სანერგეს მოეშვა. ხშირად მიიპარებოდა კარავში აფორიაქებული, სიხარბით დაფეთებული. ნერგის წახდენა რომ გაეგო, მაშინვე დამშვიდდებოდა.

„არ მოვტყუებულვარო“, არწმუნებდა თავის თავს.

ამ დილით რწმენა ისევ გაებზარა.

— დადექით, კაცო, მომასვენეთ! —გაეხუმრა მექის, მაგრამ ეს ხუმრობა მუდარას უფრო ჰგავდა.

— კარგია, — ჩაილაპარაკა აგრონომმა, მარგველაძის მოსვლა რომ შეიტყო: — ბარე ორი კიდევ აწრიალდება, ჩემო მექი! აბა რისთვის ვაკვდებით ამ...

დასაქცევსო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ახლა ავი სიტყვა არ უხდებოდა მოხუცის გახალისებულ გუნებას.

* * *

თორმეტი დღე თორმეტი წელიწადივით გაგრძელდა.

როცა არ გინდა, ხარების შებმას ვერ მოასწრებ, — ბინდი წამოგეპარება. თვალის მოსატყუებლად მიწვები, — თავზე დაგათენდება. დოლის ცხენივით გარბის დღე-ღამე.

ახლა რა ღმერთი გაუწყრა, — რა გულსაკლავად მიზოზინებს ყოველი წამი!

დღე კიდევ არაფერი, — ქვეყანა მაინც მოსჩანს, კაცი სადმე გაუტევს და გულს გადააყოლებს.

მექის ღამემ მოუსწრაფა სიცოცხლე. თუ დაღამდა, გათენებას საშველი არ დაადგება. მალმალე ეღვიძება, ყურს მიუგდებს: ფოთოლი თუ ცახცახებს, მდინარის ხმაური თუ მიწყდა... არა, რიჟრაჟი არ მოახლოვებულა!

ძილგატეხილს, ლოდინით მოქანცულს ისევ ჩაეძინება.

რაგინდ დაღლილი იყოს, ტურა ადგომას ვერ მოასწრებს. ტანი უგრძნობს რაწამს ინათებს.

წყაროს წყალს პეშვით ამოხაპავს, თავპირზე გადაივლებს და სანერგეში გაჩნდება.

— უხეფსოდ ნუ გადიხარ! — მისძახის მართა, სამზადიდან ტაბლა გამოაქვს.

მექი უკვე წასულა.

დილის ბინდბუნდში მხოლოდ ჭიშკარი იძხევა.

— რამ გადარია ეს ბიჭი?! — ჩურჩულებს ქალი და ჭიშკარს ჰკეტავს.

მექი საცდელ ნაკვეთს ათვალიერებს, აგერ მოიხარა და გულის ფანცქალით დახედა ნამყენს: იქნებ წუხელ კვირტი დაიძრა.

გერგილიანმა ჭაბუკმა მყნობის წესი შესცვალა. ხელის ხუთი მოძრაობა სამამდე შეამცირა.

საძირე მხოლოდ შვეულად დასერა. ნაჭდევის გადასაწევად დანა რომ არ დასჭირებოდა, კალმიდან აღებულ კვირტს ცოტა მერქანიც გამოაყოლა.

მერქანი, — მაგარი საგანი — კვირტს თავისთავად მიაცურებდა ნაჭდევში.

საცდელად ასიოდე ძირი დაამყნო და გაინაბა.

გაიხარებენ? ვაი თუ ისევ ჩხირები შერჩა ხელში!

ერთი კვირაც და-შედეგიც გამოჩნდება.

გუმანი თუ გაუმართლდა...

„ნეტა დამაძინა და დღეის სწორს გამომაღვიძა!“

სული ამოხადა ლოდინმა.

---

*) რომანიდან „იმერეთი“.

ჩ ვ ე ნ ი მ ა რ შ ი

მაყვალა მრევლიშვილი

უფრო მტკიცედ,
სივრცე მწყობრად გადასჭერ,
ამ ალლუმზე
მზესაც მწკრივში სწყურია,
საქართველო ნაცადია ათასჯერ,
ჩვენი მკლავი ბრძოლით გამართულია.
თუ დასჭირდა საბჭოეთის გალავანს,
ეს სიყრმე და ჯეელობა მზად არი,
გვიბრძანონ და საზღვარს მყისვე გადავა
ჩვენი ტყვიის ულეველი ლადარი.
ოღონდ ხალხმა მოგვიწოდოს, დიელო,
მტერი თუნდა დღესვე გავატიალოთ,
სამშობლოსთვის, სტალინისთვის ვიბრძოლოთ,
ჰარუნანო, დიელო

ჩვენი გზა რომ მზის ალმურით [illegible]
შორით შური თავის ქერქში იწვება;
ეს სიმღერა
გულს აუმღვრევს მტარვალებს,
ყველა ქვემძრომს ბუნაგშიაც მისწვდება:
რა შვილები დაუზრდია საბჭოეთს,
მოდით, სცადეთ, რა მოგვერდი იციან,
საზღვრიდანვე გაგაყოლებთ საჩუქრებს, —
ცხელ-ცხელ ტყვიას
და ყუმბარებს მიწიან.
ოღონდ ხალხმა მოგვიწოდოს, დიელო,
მტერი თუნდა დღესვე გავატიალოთ,
სამშობლოსთვის, სტალინისთვის ბიჭებო,
ჰარუნანო, დიელო.

ლექსებიდან „ახალი კახეთი“

ალექსანდრე საჯაია

პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი

ეს ჩემი პაპა, ძველი ქართველი...
რამ გაახსენა ლხინში კრწანისი?
ნეტავ სხვაც იყოს მასე ჯანმრთელი,
ამტანი წლების და სიმწარესი.
პატარა ბავშვის ისევ მესამედ
სამ-სამი ჯიხვი შემოატარა.
ჩვენი ესმოდა, თვალს აკვესებდა
და კისკასობდა კახი პატარა.
რომ გაიზარდოს იგი უეცრად,
ახდეს ზღაპარი გასაკვირველი, —

ან რკინის ფრთებით დალეწავს ზეცას,
ან და მთვარეზე ავა პირველი.
ან დაწერს ახალ „ვეფხისტყაოსანს“,
თავს დახრის შოთა მის წინ მუდარით.
ლექსი აცოცხლებს ბედნიერ მგოსანს,
მზის ფერადებით ნასათუთარი.
ის ღამე მაინც იქცა ლექსებად.
სიმღერით გვსურდა ტრფობის ატანა.
ჩვენი ესმოდა, თვალს აკვესებდა
და კისკასებდა კახი პატარა.

ო რ ი დ ა

მე ის სიზმარი მინახავს ძველად,
კიდევ მსმენია მე ეს სიმღერა...
ორი და ორი ნათელი ელავს,
ორთავ დამ ყელი გადმოიღერა.
გამიგონია, როგორ ეწამა
ტოლისთვის ვარდი თოვლის ფრთილება.
ასე იცოდა ერთმა ლერწამმაც
წყალში ჩახედვა და დაწყვილება.
იქ ეგრისიდან დაფნების ჩრდილით
კავკასს გავცქერდი, ჯოხს დაყრდნობილი.

კახეთს ფრინველი ვიხილე წყვილი,
ზრდილი, წყნარი და ფრთა-დაწყობილი.
— ახლა ხომ გოჯიც არ არის ცამდე,
შევძახებ სუფრას, გულს მინდობილი.
და იღუღუნებს განთიადამდე
სტახანოველი ჩემი ძმობილი.
მე რაღად მინდა სხვა კელაპტარი?
მხოლოდ ვაჟკაცის მაჯა ვინატრო,
ორი ნათელი ჩემთვის მზად არის,
იციმციმონ და გზა გამინათონ.

ს ტ ე ნ დ ა ლ ი

აკაკი გაწერელია

1842 წლის 22 მარტს მონმარტის სასაფლაოზე დაკრძალეს ანრი ბეილი, ფრედერიკ სტენდალის ფსევდონიმით ცნობილი ფრანგი რომანისტი. მის სამგლოვიარო კორტეჟს სამი კაცი შეადგენდა, მათ შორის იყო პროსპერ მერიმე, მწერლის გულითადი მეგობარი და თაყვანისმცემელი. გაზეთებმა დაბეჭდეს მოკლე ცნობა ვინმე გერმანელი პოეტის „ფრიდრიხ სტენდალის“ გარდაცვალებაზე (სტენდალი გერმანული ქალაქის სახელწოდებაა). სიცოცხლეში სრულიად არა პოპულარული მწერალი, რომელსაც სახელი ვერ მოუხვეჭა ბალზაკის აღფრთოვანებულმა წერილმაც ერთ-ერთი რომანის — „პარმის მონასტრის“ — შესახებ, სიკვდილის შემდეგ დიდი ხნით მიივიწყეს. თვითონ სტენდალმა იწინასწარმეტყველა: მხოლოდ 1880 წელს დამაფასებენ ჯეროვანადო.

მისი ლიტერატურული და პიროვნული ბიოგრაფია უცნაური ბედის შემცველია. ნაპოლეონის იმპერიის დამხობისა და საფრანგეთში რეაქციის გამარჯვების წლებში „დიდი არმიის“ ყოფილი სამხედრო კომისარი იტალიაში მიდის და იქ კონსულის მოვალეობას ასრულებს. ბურბონების დაბრუნების შემდეგ გამეფებულმა პირფერობამ, არასასურველმა ლიტერატურულმა ატმოსფერომ და ახალი სამსახურისათვის ზრუნვაში განცდილმა მარცხმა აიძულეს სტენდალი სამშობლოს საზღვრებს გასცლოდა და იტალიაში გაეტარებინა შემოქმედების მხრივ ნაყოფიერი წლები. ეს ადამიანი იტალიელად რაცხდა თავის თავს, აღტაცებული იყო ამ ქვეყნის უმდიდრესი ვოკალური ხელოვნებით, ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის ძეგლებით. მისი წიგნი „რომი, ნეაპოლი და ფლორენცია“ მოგვითხრობს ავტორის გატაცებაზე და სიხარულზე ლეონარდო და ვინჩისა და მიქელ ანჯელოს ქვეყანაში, მწერლის სასიცოცხლო ენერგიის არაჩვეულებრივ სისავსეზე, იშვიათ სულიერ მიმღეობაზე სილამაზისა და სიხარულის სფეროში.

სტენდალის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად თეზისს შეადგენდა მტკიცება იმისა, რომ ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებათა შორის უმთავრესია ბედნიერების ძიება, ტკბობის ხელოვნება, შეგრძნებათა მარაგის სრული მხილება. იგი იყო პირველი მქადაგებელი ვაჟკაცური ჰედონიზმისა, იგი უარყოფდა ჩვეულებრივი ეთიკის ნორმებს და არამზადებს შორისაც აფასებდა ძლიერი ნებისყოფით დაჯილდოვებულთ. ამ მხრივ სტენდალმა დიდი გავლენა მოახდინა ნიცშეზე, რომელსაც არაფერი სწამდა უხერხემლო ინტელიგენტობისა და ქრისტიანული მორჩილებისა.

სიყვარულის თეორია, რომელიც სტენდალს დამუშავებული აქვს შესანიშნავ წიგნში „De l'amonr“ („სიყვარულის შესახებ“), წარმოადგენს ახალი საუკუნეების „არს ამატორიას“. ამ თეორიული ტრაქტატის ერთგვარ მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენენ სტენდალისავე რომანები „წითელი და შავი“, „წითელი და თეთრი“ და „პარმის მონასტერი“. რომანების მთავარი გმირები ჟიულიენ სორელი („წ. და შ.“), ლიუსიენ ლევენი („წ. და თ.“) და ფაბრიცი დელ დონგო („პ. მ.“) ბევრით მოგვაგონებენ თვითონ სტენდალს, ბედნიერების ძიებაში გართულს და „სიყვარულის ვნებით“ შეპყრობილს. შეიძლება დაიწეროს დიდი გამოკვლევა (და ჩვენთვის უცნობია, არსებობს თუ არა ასეთი ცდა ფრანგულ ლიტერატურაში), რომელშიაც გამორკვეული იქნებოდა, რამდენად ხვდებიან ბიოგრაფიული სტენდალისა და სტენდალი-თეორეტიკოსის განცდები და შეხედულებანი მისივე რომანების გმირთა თავგადასავალს, გრძნობებსა და ფიქრებს. სტენდალის ბელეტრისტული მემკვიდრეობა — ეგზომ დიდი და განუზომელი იმ დროინდელი საზოგადოების შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით — მთელს რიგს მომენტებში პერსონიფიცირებულია.

მსოფლიო ლიტერატურაში შალიან მცირეა რიცხვი მწერლებისა, რომელთაც სტენდალისებურად ეცხოვრათ, ეწერათ და მთლიანობა დაეცვათ ამ ორ სასიცოცხლო ფორმას შორის. ყოველი მისი ნაბიჯიდან გამოსჭვივის თავდაჭერილი, ჭკვიანი, მაგრამ ვნებიანი მამაკაცი, ყოველი მისი სტრიქონი სავსეა აზრით და შინაგანი ტემპერამენტით. ხანძარი ქვაში!—ასე ამომწურავად დაახასიათა ბალზაკმა სტენდალის პიროვნება და შემოქმედება.

იმ დროს, როცა ბურბონების ეპოქის მეხოტბეებში დახლოვნებული ბევრი მოკალმე გაუჩნდა, სტენდალი ბოლომდე დარჩა ნაპოლეონის გენიის თაყვანისმცემლად, გარდასულ გმირულ ამბებზე შეყვარებულ ბონაპარტისტად. იმ ლიტერატურულ გარემოში, სადაც შატობრიანის სკოლის პათეტიური სტილი სჭარბობდა, — სტენდალს ჰქონდა უცდომელი ლიტერატურული გემოვნება, დაკვირვების დიდი ნიჭი, უაღრესად ნათელი სტილი. რეალისტური რომანის ერთ-ერთი პირველი შემოქმედი თავის მხატვრულ ნაწერებს თითქმის არც კი ასწორებდა. სტენდალი აცხადებდა, რომ კარგი ტონის დაჭერისა და სიცხადის მიღწევის მიზნით ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსს ვკითხულობ ხოლმეო. „პარმის მონასტრის“ ავტორს არასოდეს არ განუცდია ფრაზის აგებისას ის ჯოჯოხეთური წამება, რომელიც ფლობერს აიძულებდა ერთი წინადადებისათვის ზოგჯერ მთელი დღე შეეწირა და ფიზიკურად დაშლილი ამდგარიყო მაგიდიდან. სტენდალს ეს მოსდიოდა სტილიზაციის შიშით,—საკუთარი გმირებივით სტენდალი ყველაფერში ბუნებრივი და უშუალო იყო. და თავისი ესთეტიური დოქტრინა ბრწყინვალედ დაასაბუთა ბალზაკისადმი გაგზავნილ პასუხში „პარმის მონასტრის“ გამო.

მიუხედავად ამისა, ძნელი სათქმელია — აღწევენ თუ არა ისეთს დიდს ეფექტს ბევრი ცნობილი ფრანგი რომანისტის ნაწარმოებნი, როგორსაც სტენდალის რომანების სისადავე სტოვებს მკითხველზე. ამ შეუდარებელი ანალიტიკოსის თხრობა სავსეა აზრით, ხასიათების სინამდვილით და შინაგანი სინათლით; ამიტომაც სრულიად ზედმეტი ხდება ფერებისა და სიტყვების ის სიჭარბე, რომელიც ასე უმოწყალოდ ჰფარავს ხოლმე საგნებს მრავალი გამოჩენილი სტილისტის რომანებში. „მე თუ ნათელი არ ვიქნები, ჩემს მიერ შექმნილი ქვეყანა დაიშლებაო!“ — სწერდა თვითონ სტენდალი ბალზაკს ზემოთ დასახელებულ წერილში.

სტენდალი განკერძოებით იდგა თანამედროვეებს შორის და მხოლოდ რჩეულებმა იცოდნენ მისი ვეებერთელა ტალანტის ნამდვილი ფასი. ასეთ რჩეულებს ეკუთვნოდენ ბალზაკი და მერიმე,—მცირერიცხოვანი, მაგრამ სახარბიელო აუდიტორია ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედისათვის.

სტენდალი მიდიოდა საერთო დინების წინააღმდეგ და სრულიად შეგნებულად გაიზიარა მწვავე ლიტერატურული ბედი უყურადღებობის და დავიწყებისა. თანამედროვეებსაც ბევრისმეტყველი ეპიტაფია დაუტოვა: „ანრი ბეილი, მილანელი...“ ამ შესანიშნავმა ადამიანმა ბურბონების მომსახურეობას არჩია ვატიკანის არქივებში ექექნა ისტორიული მასალა „იტალიური ქრონიკებისათვის“, თავისთავთან დარჩენილიყო, უმეტესი დრო ქალებში გაეტარებინა, მილანის, ნეაპოლისა და ჩივიტა-ვეკიას ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ ესუნთქა.

როგორც ცხოვრების მასწავლებელი და თავისებური ეპიკურელი სტენდალი ამჟამად მრავალ თაყვანისმცემელს ითვლის ევროპაში. პოპულარობა და სახელი მან მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოიხვეჭა. სიცოცხლეში კი სტენდალი სწერდა იმ მკითხველებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაბადებულიყვნენ. მისი თავშეკავებული, სადა და მჭერმეტყველებისაგან დაცლილი სტილი ვერ ეგუებოდა ლიტერატურაში ჭარბ-მგრძნობიარობაზე აღზრდილი საზოგადოების გემოვნებას. ცხოვრობდა დამოუკიდებლად, სრულიად მოუქნელი იყო იმისათვის, რომ რეკლამისათვის ეზრუნა, ან კარგად მოეწყო საკუთარი წიგნების გამოცემის საქმეები. იშვიათად ჰყოლია კომპრომისსა და პირფერობას მასავით დაუძინებელი მტერი. შატობრიანისა და მადამ დე-სტალის ეპოქაში, შიშველი პრაქტიციზმისა და ფარისევლობის ხანაში სტენდალი, რასაკვირველია, სრულიად ზედმეტი იყო.

საკუთარ ძალებს მინდობილი სტენდალი არავინ იცოდა, როდის სწერდა და სად ცხოვრობდა (მერიმეს ცნობა). მას, ქედმოუხრელ ბონაპარტისტს, პოლიცია ადევნებდა თვალყურს, მაგრამ ყოველმხრივ თავისუფალიც რომ ყოფილიყო, მაინც არ მოისურვებდა პარიზის ლიტერატურულ სალონებში დარჩენას, მწერალთა უმრავლესობისათვის ნაცნობი პროფესიონალიზმით დაავადებას. სტენდალის უკიდურესი ეგოტიზმი (მის მიერ „ანრი ბრიულარში“ შემოტანილი ტერმინი) იყო ფორმა იმ სულიერი არისტოკრატიზმისა და ხასიათის სიმტკიცისა, რომელსაც ასე აფასებდა იგი ყოველ ადამიანში. იმავე დროს სტენდალი ცინიკოსიც იყო, ტემპერამენტიანი ადამიანიც, და ამ სამხედრო კომისარში სდუღდა დიდი ენერგია, რომელიც ცხოვრების გრძნობიერ ათვისებაში ყველაზე მეტად ქალის ტრფობას აფასებდა.

სტენდალის რომანებში ეს მომენტი უაღრესად თვალსაჩინოა. მისი გმირების (ჟიულიენის, ლიუსიენის, ფაბრიცის და სხვ.) ცხოვრებაში ქალები უმთავრეს როლს ასრულებენ. სტენდალი ქალს უცქერის არა როგორც არსებას, რომელშიაც დემონური ძალებია გაუვიძებული და დაღუპვისაკენ მიაქანებენ მამაკაცებს (დოსტოევსკი, ჰამსუნი), არამედ როგორც სრულყოფილი ვნებისა და დიდი სიხარულის მაზიარებელ ქმნილებას.

ტოლსტოის სიყვარულის მსგავსად, სტენდალის სიყვარულიც პირველყოფილი, ვაჟკაცური და აუმღვრეველია. ჟიულიენი ფარული ზეიმის წუთებს განიცდის მატილდის დაპყრობის შემდეგ ისევე, როგორც ვრონსკი, როცა მას შავი ხავერდის კაბაში გამოწყობილი მანდილოსანი პირველად აწყობს მკლავებს მხრებზე და დამაბრმავებელი მკერდით ეხება. ქალისადმი სიყვარულში სტენდალს არასოდეს არ დაუნახავს უფსკრული, რომელშიაც, დოსტოევსკის გაგებით, ქვეცნობიერი ძალები იმშვიდებიან.

სტენდალი მზად იყო ყველაფერი შეეწირა ნათელი და ვნებიანი სიყვარულისათვის.

წიგნში „სიყვარულის შესახებ“ სტენდალს მოჰყავს ერთი დიალოგი არაბული კრებულიდან „სიყვარულის დივანი“:

„ვინმე ბენი-ფაზრატის ტომის არაბმა უთხრა ერთხელ მეგობარ არაბს ბენი-აზრის ტომიდან: „თქვენ ბენი-აზრა, ფიქრობთ, რომ სიყვარულისაგან გამოწვეული სიკვდილი მშვენიერი და კეთილშობილი სიკვდილია; მაგრამ ეს აშკარა სისუსტე და სისულელეა; და ისინი, ვისაც თქვენ სთვლით მაღალი სულის მქონე ადამიანებად, სინამდვილეში მარტოოდენ დამიზეული და სუსტი არსებანი არიან“. — „შენ არ ილაპარაკებდი ასე, — უპასუხა აზრას ტომის არაბმა, — რომ გენახა ჩვენი ქალების დიდრონი თვალები, ზემოდან გრძელი წამწამებით დახურული, ან რომ გეხილა მათი ღიმილი და სადაფისფერი კბილები, მოელვარენი მეწამულ ბაგებს შორის“.

ალბათ სტენდალიც, ამ რენეგატი არაბივით, ყოველგვარ რეკლამაზე იტყოდა უარს სიყვარულის დიდი რელიგიის სახელით, რელიგიის, რომელიც ქალის მეწამულ ტუჩებს ღამის უტკბილესი ლოცვისაკენ უხმობს მამაკაცის ტუჩებთან ერთად.

35 წელი ა. წულუკიძის გარდაცვალებიდან

მკითხველის შენიშვნები

ჩვენი გაზეთი ქართულ ენაზე პირველად აქვეყნებს დიდი **სტალინის** სახელოვანი თანამებრძოლის ალექსანდრე წულუკიძის სტატიას „მკითხველის შენიშვნები", რომელიც მოთავსებული იყო თბილისის რუსული გაზეთის „Новое обозрение"-ს 1900 წლის, 19 დეკემბრის, 5567 №-ში. ალ. წულუკიძის ეს წერილი წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის ნიმუშს, რომელიც მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს გამოდის ცხოვრების მიერ წამოჭრილი დიდი საზოგადოებრივი პრობლემებიდან. **რედ.**

O

ჩვენს დროში, როცა მრეწველობა და ვაჭრობა ეკონომიური ცხოვრებისა და პოლიტიკის ხელმძღვანელნი ხდებიან, დედამიწის ყველა ქვეყანა გაფაციცებული სისწრაფით იქსელება რკინიგზებით; ტელეგრაფის მავთულები ერთმანეთს უკავშირებენ დედამიწის უაღრესად დაშორებულ პუნქტებს; აზრი სწრაფად გადადის ქვეყნიერების ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში წიგნების, ჟურნალების, გაზეთების საშუალებით. ყველაფერი ეს აახლოვებს კაცობრიობის სხვადასხვაგვარ ელემენტებს. ასეთი ნივთიერი და სულიერი ურთიერთობის პირობებში მიმბაძველობა და მოდა ჩვეულებრივ მოვლენებად ხდებიან. რომ არაფერი ვსთქვათ მოდურ ტანსაცმელზე და თავის სამკაულზე, მოდური ხდება თეორიები, აზრები, შეხედულებები. ასეთ მოვლენათა რიგს, ჩვენის აზრით, ეკუთვნის მოდური პესიმიზმი. ქართულ ლიტერატურასაც გადმოედო ეს მოდა და პესიმისტურად განწყობილი ჩვენი კრიტიკოსების პირით იგი მკითხველებს უქადაგებს ცხოვრებაზე იმედგაცრუებას. პესიმიზმი, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებაში ნოყიერ ნიადაგს პოულობს, მთელი წყება უაღრესად მწვავე, მაგრამ ძნელად გადასაწყვეტი საკითხების გამო, ჩვენში უხეში ფორმით იჩენს თავს. მოვლენების ანალიზი ადგილს უთმობს კეთილსურვილებს, რომლებსაც სინამდვილეში განხორციელება არ უწერიათ, ამიტომაც ცხოვრებისადმი აპატია ეუფლება კრიტიკოსებს, რომლებიც ცხოვრების აზრს ვერ ჩასწვდებიან, და ხდება მთელი ჩვენი მოზარდი თაობის, მკითხველი საზოგადოების უამრავი მასის კუთვნილებად. ეს ფიქრები აღმიძრა დავით კლდიაშვილის მოთხრობის „ქამუშაძის გაჭირვების" კითხვამ.

ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებაში განმტკიცდა აზრი, თითქოს ბელეტრისტიკა ჩვენში დაცხნიდა, დაწვრილმანდა, თითქოს მან დაჰკარგა თავისი ძალა, თითქოს ჩვენმა მესამოციანებმა დაამთავრეს მხატვრული მწერლობის განვითარება, თითქოს ჩვენ არ ძალგვიძს დავაბრუნოთ ეს ძველი კეთილი დროება, თითქოს ჩვენ წილად გვხვდა უშინაარსო, მობეზრებული, ზოგჯერ მავნე მოთხრობების კითხვა, ერთის სიტყვით, თითქოს აშკარაა გაუარესება, რეგრესი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ნუ თუ ასეა? რა შეგვიძლია მოვთხოვოთ ბელეტრისტს? სხვა არაფერი, თუ არა სინამდვილის სწორი ასახვა ცოცხალ მხატვრულ ფორმაში. თუ ასეთი მოთხოვნით მივმართავთ ოთხმოცდაათიანი წლების ბელეტრისტებს, ჩვენ თვალწინ სულ სხვა სურათი გადაიშლება. გადაიკითხეთ ეგნატე ნინოშვილის შინაარსიანი მოთხრობები. განა ცხოვრებიდან ამოგლეჯილი არ არიან „ჩვენი ქვეყნის რაინდის", „მოსე მწერლის", „სიმონას", „გოგია უიშვილის" და სხვა მის მოთხრობათა ტიპები? თუ გინდათ გაიგოთ ჩვენი საზოგადოების მაჯისცემის მდგომარეობა, აიღეთ 1895 წლის ჟურნალ „მოამბის" მე-4 და მე-5 ნომრები, სადაც თქვენ ნახავთ ლალიონის მოთხრობას „ფირალ დავლაძეს". ამავე ჟურნალში მოთავსებულია დ. ერისთავის „ვინ არის დამნაშავე?" დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", რომელიც ჩვენს სოფელში არსებული არართული, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობის ბრწყინვალე ფსიქოლოგიურ გამოხატულებას წარმოადგენს.

შევჩერდეთ ამავე ავტორის უკანასკნელ ნაწარმოებზე. „Новое обозрение"-ს მკითხველებისათვის უკვე ცნობილია „ქამუშაძის გაჭირვების" შინაარსი, ამიტომ ზედმეტი იქნება გავიმეოროთ იგი. ამ ნაწარმოების წაკითხვა საამოა და სასარგებლო არა იმიტომ, რომ იქ შეიძლება დავსტკბეთ სტილის სილამაზით, ან გავწაფოთ, გავავარჯიშოთ ჩვენი წარმოსახვა პოეტური შედარებებით, — არა ამიტომ. თუ თქვენ, მკითხველო, გაინტერესებთ იმდენად არა პოეზია, რამდენადაც ცხოვრება, თუ თქვენ სულიერი მღელვარებით ადევნებთ თვალყურს ხალხის ნივთიერსა და სულიერს განვითარებას, მაშინ ბევრს რასმე საინტერესოს იპოვით „ქამუშაძის გაჭირვებაში". ოდესღაც შეძლებული აზნაური ოტია ქამუშაძე გაღარიბებულა, გაჭირვებაში ჩავარდნილა. რაინდი წინაპრების ამაყი შთამომავალი ოტია გადაქცეულა უბრალო მიწის მუშად, რომლის შრომა აუნაზღაურებელი რჩება. ოფლში გაწურული, ნახევრად დამშეული, სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შესაძლებლობას მოკლებული ოტია წელში გაზნექილა. ვერც მეზობლებისაგან თითო ბათმნობით სიმინდის სესხებას, ვერც მოუსვენარ გარჯას ვერ გამოუყვანია იგი ნივთიერი გაჭირვებისა და დამშეულის მდგომარეობიდან. მაგრამ მისდევს რა ტრადიციას, ასრულებს რა მოხუცი დედის ნება-სურვილს, ფიქრობს რა თავისი ცხოვრების განახლებას ოჯახის შიგნით, ოჯახიდან გარედ გაუსვლელად, გაიძვერა სოფლელი „აბლაკატის" დახმარებით ოტია ჯვარს იწერს ქალაქელ ქალიშვილზე—სონიაზე. ახალმა ვითარებამ პირველ დღიდანვე მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა ოტიას ახალგაზრდა ცოლზე. ოტია თავდაუზოგავად მუშაობს ყანაში, მაგრამ ამას ვერ გამოჰყავს იგი აუტანელი გაჭირვებიდან. დაკვირვებული სონია, რომელსაც ყოველგვარი მოთმინება დაჰკარგვია, შემდეგი სიტყვებით მიჰმართავს ქმარს:

„— ოტია! ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... სიკვდილია, ოტია! ამდენი ხანია გიცდი, გითხრა ეგ... ჩვენ კიდევ უარესი თუ მოგველის აქ, თორემ უკეთესი არაფერი. ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია, უთუოდ, უსათუოდ, ოტია!

ამას იგიც გრძნობდა, იგიც ატყობდა.

— სად მე ქალო? სად შემიძლია მე წასვლა?

— სადაც საშოვარი უფრო მეტია, ქალაქ ადგილას, №-ში!

ოტიამ მწარედ გაიღიმა.

— ჰმ, ჩემისთანამ რა უნდა იშოვოს ქალაქ ადგილას?

— რატომ არა... რატომ არა! ყველაფერს იშოვი!

— მაგასაც გარჩევა უნდა! მე კი ფეხი არსად გამიდგამს! არსად ვყოფილვარ. ხალხიც არ მინახავს ერთად ბევრი. ქვეყანაში გაუსვლელმა რა უნდა გავაკეთო უცხო ადგილას?.. თორემ ვინ ოხერი, ვინ მუდრეგი!

— უსათუოდ, უსათუოდ! ამას ლაპარაკიც აღარ უნდა, ოტია! ეს გადაწყვეტილია, იცოდე! — მტკიცედ წარმოსთქვა სონიამ. — გესმის?

— სად?—კითხულობს გაკვირვებული ოტია და ამ კითხვით ავტორმა გახსნა მთელი მსოფლმხედველობა, ფსიქოლოგიური ბრძოლა მიწათმოქმედისა, კონსერვატორული წყობა მისი გონებისა, მისი შიში ახლის წინაშე, მისი ცდა როგორმე გაიუმჯობესოს მდგომარეობა ისე, რომ სოფელს არ მოშორდეს, თავის მიწაწყალს არ მოსწყდეს. როგორ!? დასტოვოს სოფელი? გამოეთხოვოს ნაცნობ ველ-მინდვრებს, სადაც იზრდებოდა და ლაღობდა? მიატოვოს სახლ-კარი, კარმიდამო, ტყე, მეზობლები? უღალატოს ტრადიციებს, მამა-პაპათა ანდერძს და წავიდეს სადღაც, რისიღაც საძიებლად?

მაგრამ ცხოვრება ცოლის პირით უკარნახებს ოტიას საკითხის გადაწყვეტას. მართლაც, ხომ არ შეიძლება „Вздыхать и думать про себя" შიმშილით სიკვდილზე? ხომ არ შეიძლება იმუშაო ცისმარე დღე, გათენებიდან შუაღამემდე და მაინც კუჭი ვერ გაიძღო? ხომ არ შეიძლება მუდამ უყურო როგორ დნება ჯავრისაგან ცოლი? არა, ყოველივე ამის ატანა შეუძლებელია. „უნდა წავიდე აქედან, უნდა ავიბარგო, მეც უნდა შევეხიზნო იქ, სადაც ყოველი კაცი საშველს პოულობს, სადაც იმდენი საშოვარი და საშუალებაა.. მეტი გზა აღარ არის". ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ „ოტიას გულში თითქოს რაღაცამ გაურბინა, ოტია ჯერ წამოჯდა, მაგრამ ჯდომაც აღარ ეხერხებოდა, წამოდგა, გამოვიდა აივნიდან და მიაარ-მოიარა ეზო. რაღაც უცნაური სევდით შეჰყურებდა ამ ღამეში ყოველ საგანს, რაც წინ შეხვდებოდა, რაღაც სიყვარულით აჩერდებოდა სათითაოდ ყოველისფერს, რასაც მისი საკუთრება შეადგენდა, აქაურს ქონებას. მისი გული საკვირველად დუღდა, გმინავდა. ამ ღამეში, ამ ბნელში გაჭირვებული ოტია ემშვიდობებოდა აქაურობას, ესალმებოდა ამ მიდამოს, რომელიც დევნიდა და იძულებულს ხდიდა თავისი კეთილდღეობა სხვაგან ეძებნა". ცხოვრების შეცვლილი პირობები სასტიკი აუცილებლობით სცვლიან მიწათმოქმედის მთელს გონებრივ ჰორიზონტს, ხდიან მას მამაპაპათა ანდერძის მოღალატედ, ახალი ვითარების მსხვერპლად. ეს ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში დიდი ფაქტია და ამასთან აგრარული საკითხების ერთ-ერთი მთავარი პუნქტია. მიწის სივიწროვე სოფლელს ქალაქში მიერეკება სამუშაო ძალის უფრო ხელსაყრელი გამოყენების საძიებლად.

შეიძლება ვიდავოთ და დაობენ კიდეც იმის შესახებ, ასეთივეა თუ არა ხვედრი ყველა წვრილი მწარმოებლისა სოფლად. ხომ არ არსებობს საშუალება ამ ბოროტების აღსაკვეთად, მაგალითად ისეთი, როგორიცაა კოოპერატიული ამხანაგობა და სხვა? ამ საკითხზე იმსჯელებს ეკონომიური ცხოვრების კეთილსინდისიერი მკვლევარების მრავალი შუბი. მაგრამ მარტო ეს გარემოება ამტკიცებს ასეთი ფაქტის, როგორც მასობრივი მოვლენის, არსებობას. აღარავისთვისაა საიდუმლოება, რომ გაჭირვება მიერეკება წვრილ მწარმოებელს სამრეწველო ცენტრებში. სინამდვილის ეს სწორი ასახვა ლიტერატურაში არის ამ ნაწარმოების ღირსება. დავით კლდიაშვილმა შესძლო ოსტატურად გადმოეცა გაღარიბებული აზნაურის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მან დაგვანახვა, რომ ამ წოდებას, რომელსაც ეკონომიური ძლიერება დაუკარგავს, აღარ შეუძლიან მარტოოდენ იურიდიული პრივილეგიებით წინ აღუდგეს დაუნდობელი ეკონომიური ბრძოლის შემოტევას. ახალი ცხოვრება მისგან ახალ ძალას მოითხოვს.

იარაღი, რომლითაც მისი წინაპრები მტრის თავდასხმას იგერიებდნენ, შრომითა და ცოდნით უნდა შეიცვალოს. თავათ იგი უნდა გაითქვიფოს სიცოცხლის უნარიან მშრომელ ელემენტში, რომელიც თავის არსებაში უკეთესი მერმისის ჩანასახს ატარებს და რომელიც იარაზმება და ბრძოლაში, სრულყოფს რა თავს გონებრივად და ზნეობრივად, ჰკაფავს გზას ახალი ცხოვრებისაკენ.

რეფორმის შემდეგდროინდელმა ჩვენმა ცხოვრებამ შექმნა მკლავაძის (ნინოშვილი), დავლაძის (ლალიონი) და ქამუშაძის (კლდიაშვილი) ტიპები.

პირველი, მკლავაძე, ქართველი მეომრის სუსტი ნაშიერია, რომელიც მთელს თავის ენერგიას ფლანგავს ღვინოსა და აყალმაყალში. საბრძოლველად მას ხანჯალი და ჰერკულესის მკლავები აქვს. მას სურს ყველა დაიმორჩილოს, მას სურს ყველა მის წინ იდრიკდეს მუხლს. როგორც დიდებული წინაპრის შთამომავლის წინაშე. პიროვნების გათელვა მხოლოდ იმისთვის, რომ გამართოს თავისი „არწივის ფრთები", —მისი სიამოვნებაა და ამ სიამოვნებას მსხვერპლად ეწირება თვით იგი (მკლავაძე), როცა ულონო, სუსტი, მაგრამ თავმოყვარე, მისგან უსამართლოდ შეურაცხყოფილი სოფლის მასწავლებელი სპირიდონ მცირიშვილი ჰკლავს მას რევოლვერით. მეორე, დავლაძე, მკლავაძის ორეულია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ წოდებრივი უპირატესობის შესანარჩუნებლად „ვაჭრის შვილთან" ბრძოლაში იგი მიმართავს სხვა საშუალებას — ფულს. მაგრამ როგორ იშოვოს იგი? შრომა მისი წოდების სახელსა და პატივს არ შეეფერება, და აი იგი გადასწყვეტს ძველი იარაღით—ხანჯლითა და მკლავით მოიპოვოს ახალი იარაღი —ფული. იგი მიმართავს ყაჩაღობას, მაგრამ ყაჩაღებს ვერ ითმენს განვითარებაში შესული მოქალაქობრივი საზოგადოება და მისი, დავლაძის, გზაც ციმბირისკენ მიიმართება.

ოტია ქამუშაძემ ფაქტიურად უარი სთქვა თავის წოდებრივ პრივილეგიებზე, მას სურს გამოჰგლიჯოს ბუნებას არსებობის სახსარი, მაგრამ ლუკმა პურის სიმცირით შევიწროებული გარბის ქალაქში. ეს უკანასკნელი ტიპი უფრო სიცოცხლისუნარიანია. და მისი ცხოვრებაც სერიოზული დაკვირვებისა და გამოკვლევის საგნად ხდება.

დავით კლდიაშვილი სოფლის ცხოვრების მცოდნეა, და ყველა მისი მოთხრობა ამ სამყაროდან მის დახვეწილ დაკვირვებულებას ამჟღავნებს, მაგრამ თავის უკანასკნელ ნაწარმოებში ავტორი ამ ამოცანით არ დაკმაყოფილდა და ქალაქის ცხოვრების კონტურებიც მოხაზა. მისი მომქმედი პირები ქალაქში სახლდებიან. თავისი ქონების გაყიდვიდან აღებული ფულით ოტია ქალაქში ყიდულობს მიწის ნაჭერს და იშენებს სახლს. როგორც ავტორი გვარწმუნებს, სოფლის ცხოვრებით უკმაყოფილო ასეთმა პირებმა ქალაქში მთელი უბანი გააშენესო. ისინი ელოდებიან „მოხერხებულ შემთხვევას", რომ სავსებით შეეგუონ „ახალ ცხოვრებას", რომ უკვე აღარასოდეს დაუბრუნდნენ თავიანთ ყანებსა და ტყეებს. როგორი უნდა იყოს ეს შემთხვევა? როგორ ელოდებიან ისინი ამ შემთხვევას ან როგორია ის ახალი ცხოვრება, რომელსაც ისინი უნდა შეეგუონ? ავტორის გადაკრული მოსაზრებანი ამის შესახებ ნაკლებ მართალია და ნაკლებ დამაჯერებელია. ხომ არ ფიქრობს ავტორი, რომ თავისი გმირების ცხოვრება სიამითა და ბედნიერებით აღავსოს? არა მგონია. ის ხომ სინამდვილეს ასახავს, სინამდვილეში კი ასეთი არაფერი ხდება.

მაგრამ დავიცადოთ, თუ რას გვეტყვის მომავალში ჩვენი ყოფაცხოვრების ეს ნიჭიერი აღმწერელი.

ა. მათუშა.

გენიალური ჰუმანისტი



ოთხი წლის წინათ ხალხის მტრებმა, ტროცკისტულ-ბუხარინულმა ბანდიტებმა ვერაგულად მოჰკლეს დიდი რუსი ხალხის გენიალური მწერალი, მგზნებარე რევოლუციონერი მაქსიმ გორკი.

განუზომელია გორკის ღვაწლი სოციალისტური რევოლუციის და სოციალისტური ლიტერატურის წინაშე. ის იყო სოციალისტური რეალიზმის პირველი კლასიკოსი. ჭაბუკობის წლებიდან დაწყებული ეს დიდი მხატვარი რევოლუციური ხელოვნების აკვანთან იდგა და თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მშობლიური მზრუნველობით დასტრიალებდა მას თავს. გორკის მოთხრობებსა და რომანებში თავიდანვე გამოჩნდა დიადი მაცოცხლებელი ძალა, რომელიც აღვიძებდა აზრს, აღვიძებდა თაობებს, იძლეოდა ნათელ და წარმტაც პერსპექტივას.

მაქსიმ გორკი ძლიერი მხატვრული სიტყვით ქადაგებდა ბოლშევიკური პარტიის დიად იდეებს. მთელი მისი მდიდარი ცხოვრება და შემოქმედება, მისი სამწერლო გზა განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ისტორიასთან, ბოლშევიზმის გმირულ ისტორიასთან.

მაქსიმ გორკიმ წარსული საუკუნის მიწურულში ახალი ფურცელი გადაშალა რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში. მისი გამოსვლით დაიწყო ლიტერატურის ახალი ეპოქა. გორკის პირველსავე ნაწერებში გამოჩნდა ისეთი მწერალი, რომელსაც დიდი მებრძოლის ნებისყოფა, დაუცხრომელი გონება და მხატვრული სიტყვის უფართოესი ჰორიზონტი ჰქონდა. ის არა მარტო აგრძელებდა, არამედ კიდეც აფართოებდა, ანვითარებდა იმ საუკეთესო საბრძოლო ტრადიციებს, რომლებიც მუდამ ცოცხალი იყო რუსულ ლიტერატურაში.

მაქსიმ გორკი ხალხის წიაღში დაიბადა და აღიზარდა. იქ მიიღო მან საბრძოლო წრთობა, შეიძინა ულეველი სულიერი ენერგია. იქ გაიარა თავისი ცხოვრების უნივერსიტეტები. დიდი მწერალი თავისი ახალგაზრდობის დღეებიდან ოცნებობდა ენახა თავის სამშობლოში ყველაზე ლამაზი, სრულყოფილი, სამართლიანობით და ბედნიერებით აღსავსე ცხოვრება, როცა ქვეყანა დასახლებული იქნებოდა საამაყო და სასახელო ადამიანებით, როცა სიტყვა ადამიანი ამაყად იქნებოდა წარმოთქმული. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია არ იცნობს ადამიანის უფრო თანმიმდევარ და მხურვალე დამცველს, ვიდრე მაქსიმ გორკი იყო.

მთავარი სახე გორკის შემოქმედებაში მებრძოლი ადამიანის სახე იყო. ასეთი იყო რომანტიული სახე დანკოსი, რომელმაც მკერდიდან სიყვარულის ალიცხლით ანთებული გული ამოიგლიჯა და ჩირაღდანივით გადასცა ხალხს გზის გასანათებლად. ასეთივეა დაჭრილი შევარდენი, რომელიც ცხოვრების სიბრძნეს მამაცთა გაქანებაში ხედავდა და მოლუშულ, ბნელ ხეობიდან ცის ლაჟვარდისაკენ, თავისუფლებისაკენ მიიწევდა. ასეთი იყო ამაყი ქარიშხალა, რომელმაც გმირული ყიჟინით აუწყა რუსეთს ძველი ქვეყნის აღსასრული და რევოლუციის მოახლოვება. აქ ყველგან სჩქეფდა ბრძოლის, თავგანწირვის, თავისუფლების მოპოვების დაუძლეველი წყურვილი. გორკის შემოქმედებაში გამოიხატა მთელი ხალხის სული, მებრძოლი სული, რომელიც ვერ ურიგდებოდა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წყობილების ბორკილებს და მტარვალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ირაზმებოდა. ეს პროცესი, რევოლუციის ძალთა დარაზმვისა და გამოწრთობის პროცესი გორკიმ განსაკუთრებით ნათლად გამოხატა თავის რომანში „დედა".

„დედა" არის კლასიკური რომანი ბოლშევიკების გმირული ბრძოლის შესახებ, — ეს არის ბოლშევიზმის იდეების მძლავრი მხატვრული პროპაგანდა. რომანის გმირი — პაველ ვლასოვი რევოლუციური იატაკქვეშეთის საუცხოვო მებრძოლია, ერთი მათგანი, ვინც თავისი ხელით ჰქმნიდა დიად მომავალს, ვინც თავისი ბრძოლით მიიკაფავდა გზას გამარჯვებისაკენ, ვინც მჭიდროდ დარაზმული ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ ნერგავდა ხალხის ფართო მასებში ბოლშევიზმის მებრძოლ იდეებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანში დედის სახე, —ეს არის კეთილშობილი სახე მოხუცისა, რომლის გულში შვილისა და ხალხის სიყვარული განუყოფელია, მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებულია ერთი-მეორესთან. მწერალმა გვიჩვენა, როგორ აამაღლა რევოლუციის იდეამ ჩამორჩენილი ქალი და მოწინავე მებრძოლთა რიგებში მოაქცია იგი. ხსენებული რომანის გმირი ოცნებობდა: „დადგება დრო, რომ ადამიანები შეჰხაროდნენ ერთმანეთს, რომ ყოველი ადამიანი მეორესთვის ვარსკვლავი იყოს!.. მაშინ... იქნება სამსახური ადამიანისადმი, მისი სახე ზეამაღლდება.. დიადნი იქნებიან ამ ცხოვრების ადამიანები". აი ეს შეგნება, ეს დიადი რწმენა ამოძრავებს და ამხნევებს რომან „დედის" გმირებს.

„არტამონოვების საქმე" ნათლად გვიხატავს რუსეთის კაპიტალიზმის წარმოშობის, განვითარების და აღსასრულის პროცესს. აქ დახატულია კაპიტალიზმის ეპოქა, როცა ფეხქვეშ სთელავდნენ, სჯიჯგნიდნენ, ახშობდნენ ადამიანის ყველა უფლებას, როცა სძარცვავდნენ მუშათა კლასს. ამავე დროს მწერალმა გვიჩვენა, როგორ იზრდებოდა კაპიტალიზმის მესაფლავე — მუშათა კლასი, როგორ მწიფდებოდნენ ის ძალები, რომელთაც თავიანთი ბრძოლით ხალხის განთავისუფლების საქმე უნდა დაეგვირგვინებინათ.

გორკის მთელი შემოქმედება და, კერძოდ, ისეთი ძლიერი ნაწარმოებები, როგორიც არის „თომა გორდეევი", „ქალაქი ოკუროვი", „ბავშვობა", „ხალხში", „ჩემი უნივერსიტეტები", „კლიმ სამგინის ცხოვრება" და სხვები ნათლად გვიხატავენ რუსეთის რევოლუციამდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას მთელ მის სირთულესა და მრავალფეროვნებაში. ცხოვრების უდიდესი გამოცდილება და ამავე დროს გასაოცარი ფანტაზიის ძალა შესაძლებლობას უქმნიდა გორკის ნათელი რეალიზმის თვალით დაენახა ქვეყანა და უკვდავ სახეებში გამოეხატა ის. გორკის შემოქმედებაში ნათლად არიან შეგრძნობილი ადამიანთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი კანონები და ნაჩვენებია გზა ხალხის განთავისუფლებისათვის. გორკიმ მთელი სიმძაფრით დაგვიხატა კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობა, მწერლის გენიალური თვალი შორსა სჭვრეტდა და რევოლუციის წინა დროს ნათლად ხედავდა მომავლის კონტურებს. და ეს სწორედ იმიტომ, რომ გორკი განუყრელად იყო დაკავშირებული ბოლშევიკურ პარტიასთან, განუყრელად იყო დაკავშირებული **ლენინთან და სტალინთან.**

ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადები — **ლენინი და სტალინი** განსაკუთრებით აფასებდნენ გორკის როგორც მხატვრულ შემოქმედებას, ისე მის პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობასაც, დიდი ბელადები მასში ხედავდნენ კომუნიზმის იდეების მძლავრ პროპაგანდისტს.

1912 წელს, მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, **ლენინი** სწერდა გორკის: „სამაისო ფურცელს ხომ არ დასწერთ? ან ასეთივე სამაისო განწყობილების პატარა ფურცელს? მოკლე ფურცელს, „სულის ამამაღლებელს", ჰა? გაიხსენეთ წარსული — გახსოვთ 1905 წელი... კარგი იქნებოდა გვქონოდა „ზვეზდას" ზღაპრების ტიპის რევოლუციური პროკლამაცია".

ცნობილია თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი გორკის „დედას", საერთოდ ამ დიდი მწერლის მთელ შემოქმედებას.

მაღალი შეფასება მისცა გორკის შემოქმედებას დიდმა **სტალინმა.** როცა ამხანაგმა **სტალინმა** წაიკითხა გორკის პოემა „სიკვდილი და ქალიშვილი", ასეთი შენიშვნა მიაწერა: „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე „ფაუსტი" (სიკვდილს ამარცხებს სიყვარული)".

ამ ნაწარმოებში სჩანდა ის ძლიერი ოპტიმიზმი, რომელიც უაღრესად დამახასიათებელია ახალი ქვეყნის მშენებელი ხალხისათვის.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გორკი რჩებოდა რევოლუციის მტკიცე და მამაც ჯარისკაცად. „თუ ატყდება ომი,—სწერდა ის, — იმ კლასის წინააღმდეგ, რომლის ძალღონითაც მე ვცოცხლობ და ვმუშაობ, — მეც რიგითი მებრძოლად წავალ მის არმიაში... ეს ჩემი კანონიერი საქმეა, ჩემი მოვალეობაა".

გორკი თავის ხალხთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებდა სოციალისტური სახელმწიფოს ზრდასა და განმტკიცებაში, თვითეული მისი სიტყვა გამსჭვალული იყო მაცოცხლებელი ოპტიმიზმით, საბჭოთა ხალხის ოპტიმიზმით.

მაქსიმ გორკი დაიღუპა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლის საბრძოლო პოსტზე. ხალხის მტრებმა გორკი მოჰკლეს იმიტომ, რომ დიდი მწერალი ბოლომდე ერთგული იყო ბოლშევიკური პარტიისა, მოჰკლეს იმიტომ, რომ დიდი მწერალი მთელი არსებით ებრძოდა კაპიტალიზმის რესტავრატორთა ბინძურ ხროვას, ებრძოდა ყველა იმას, ვინც ცდილობდა ხალხისათვის ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება წაერთმია.

გორკი ჩვენთან აღარ არის, მაგრამ სამარადისოდ ცოცხალი იქნება მისი შემოქმედება, მასზე იზრდება და გაიზრდებიან თაობები, მისი უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ზრდის ჩვენს ხალხს და უფრო მეტად ანმტკიცებს მის შეგნებაში სოციალისტურ სამშობლოსადმი სიყვარულს, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბელადის **სტალინისადმი** უღრმეს ერთგულების გრძნობას.

უკანასკნელი ღამე

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

გარს შემორტყმია სხვიტორს ტანმაღალი მთები...

თითქოს კავკასიონს თავისი ნაზარდი შვილები გამოჰქცევიან და მთელს საქართველოს დასამშვენებლად მოჰფენიან.

ზამთარია... თოვს...

ჭაღარით იმოსებიან მწვერვალები. გათეთრდა მიდამო ბრჭყვიალა კრისტალებით. ცა დანისლულია თეთრად.

ორსართულიანი სახლის აივანზე ნელი და მძიმე ნაბიჯით დადის ტანადი მოხუცი. სახე მაღლა აუმართნია, თვალის ქუთუთოები ნახევრად დაშვებული დოლბანდებივით მოსჩანან, თითქოს ცდილობენ დაფარონ ამ ადამიანის სულის დიადი სარკე.

გასცქერის სივრცეს...

თოვს...

არც ფირუზი ცა არის, არც ზურმუხტით დაფარული ხმელეთი. ზამთარმა მოახუცა, გააჭაღარავა. სწორედ ასე ბარდნიდა მასაც ცხოვრების თოვლი, ცივი და სუსხიანი. ასევე გადაეფინა ნათელი მის სახეს. საუკუნესავით ჭაღარა მოხუცი ულიმის კავკასიონის სპეტაკ ქედს. ორივე ხელით დაეყრდნო მოაჯირს. გოლიათურ ბუნებას გასცქეროდა გოლიათი, თითქოს მწვერვალები საუბრობენო ერთმანეთში.

„ვნახავ თუ არა ჩემს სამშობლოს კვლავ ფირუზი ცით და ზურმუხტი ხმელეთით?!" — დუდუნებს მის გულში ეს გრძნობა და ფიქრი.

გული უჩქროლავს, ესაუბრება თავის თავს:

„ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, დაიბადება, იზრდება, დაბერდება... უბრალო მდინარეც კი, თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე ახლად ფეხადგმული ბავშვივით დაუყვება დაღმართს. თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაცუნცულდება რომელიმე ხევში, სადაც, როგორც ალვირუსხმელი, სისხლჭარბი, თავმომწონე და შეუპოვარი, სანავარდოდ გამოსული ჭაბუკი, აღარავის ეკრძალვის, აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ-გრიალით! უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავგამეტებით აქეთ-იქით ეხლება, რომ გაგლიჯოს და გაიტანოს თავისი მოწინააღმდეგე.

... მიდის, მიშხუის ზღვისაკენ თავმიცემული, შორის გზით მიმავალი, და, რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას, როგორც მოხუცი, და ბოლოს კიდეც შეჩერდება ერთი შეჩერება... ტბორავს, თითქოს უნდა უკანასკნელად ერთი კიდევ მიიხედოს უკან, თვალი გადაავლოს თავის წარსულს, ფერადად გავლილ შორეულ გზას, და მერე საუკუნოდ ჩაინთქას, ჩაიღუპოს მის უფსკრულში"...

და მიმოავლო თვალი მთელს გარემოს, თვალწინ გადაეშალა ბავშვობა. წარმოიდგინა დიდი ეზო, უზარმაზარი ნიგვზები, საჩრდილობლად თავმომწონე გადაშლილი მტოები; შენობის ირგვლივ სამი კუთხით გარს შემორტყმული ბეღლები, საბძლები, სასიმინდეები, მარანი, საჯინიბო. აი აქ, ამ კარმიდამოში გაფრინდა მისი ბავშვობა.

„ეს იყო გუშინ",—სინანულით გაიფიქრა და თითქოს ზურგი შეუბრუნა განუმეორებელ წარსულს, შეტრიალდა, აივანი დასტოვა, ოთახში შევიდა.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. წითლად აელვარებული ნაკვერჩხლები აბრწყინვალებენ ოთახს. სანათის შუქი ჭერსა და კედლებს ეფინება.

დაღლილი, დაქანცული მოხუცი მიწვა საწოლზე. გული მაინც ჭაბუკობისაკენ მიუწევს, ეტრფიალება ბუნებას, ცხოვრებას, ადამიანებს. ისევე შეჰხარის სიმამაცეს, სიყვარულს, სიხარულს... და აკაკი სთვლემს და ფიქრობს ფერადად გავლილ შორეულ გზაზე...

O

გავიდა რამდენიმე კვირაც.

აკაკი მძიმედ გახდა ავად.

მთელ საქართველოს მოედო ეს ამბავი. ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ მის სანახავად. უვლიდნენ, თავს ევლებოდნენ.

უკანასკნელი ღამე მძიმე და გულჩათხრობილი იყო.

ის სწუხდა და გულისტკივილში ჩასთვლიმა, ჩაეძინა. საათი კი გაუწყვეტლივ წიკწიკებდა. მიჰქონდა ამ ადამიანის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები.

ოთახში მყოფნი მოკრძალებულნი და გულჩათხრობილნი ისხდნენ.

უსმენდნენ მის სუნთქვას. სცემდა თუ არა მისი გული და მაჯა? ბედნიერად გრძნობდნენ თავს: მისი სუნთქვა კვლავ ესმოდათ.

განსაკუთრებული სიძლიერით ისმოდა ამ მდუმარებაში საათის წიკწიკი. თითქოს ფოლადის ჩაქუჩები სცემენო. ულმობელი იყო ის. დრო და სიცოცხლე მიჰქონდა თან.

გამოეღვიძა. თითქოს ბურუსში იყოო. მიმოიხედა. ნაცნობი სახეების დანახვა ესიამოვნა.

— მემშვიდობებით?! — გულნაკლულად სთქვა.

— სანათის შუქი ხომ არ გიშლით მოსვენებას? — შეეკითხნენ.

— არა, მე უკვე აღარაფერი აღარ მიშლის, — მისუსტებული ხმით ჩაიდუდუნა აკაკიმ და ულონოდ ჩაიქნია ხელი.

პატარა ხანს ოცნებაში წავიდა. მერე, თითქოს რაღაც შორეული სევდა და ნაღველი შემოაწვაო, საწერისაკენ ხელი გაიშვირა და მოწყენით სთქვა:

— იქ ჩემი ნაწერებია, გადმოიღეთ და წამიკითხეთ რამე...

იმავე წუთს შეუსრულეს თხოვნა.

უკითხავდნენ:

„მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად
მერცხლის ბუდე რაღაც მოჩანს"...

მგოსანი მწყურვალედ უსმენდა, თითქოს ხელახლა განიცდისო მას, რაც ოდესღაც დაეწერა. ხან სახე მოეღუშებოდა, ხან გაუნათლდებოდა, ხან სინანულით გააქნევდა თავს, სტრიქონები მიჰყვებოდნენ ერთმანეთს ხან ნაკადულივით ტკბილი და მშვიდი ხმით, ხან ჩანჩქერივით მშფოთვარე შხუილით, ხან კიდევ თითქოს ბუნების სიმშვენიერეში მიეძინაო, დუდუნი ისმოდა მხოლოდ.

ბოლო ტაეპს დაძაბული ყურადღებით უსმენდა.

„...მაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა...
მხოლოდ ეს კი დამავალა,
ნახე შენი გამზრდელიო,
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო"...

... მაგრამ უსუფ ეუბნება:
— შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ,
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!"

და აკაკის ამ სტრიქონების მოსმენისას გული აემღვრა, ბაგები აუთრთოლდა, ყველას სათითაოდ მიაპყრო თავისი დიდრონი თვალები, თითქოს უნდოდა თითოეულის სახეზე რაღაც ამოეკითხა.

და უკანასკნელი ტაეპი რომ იკითხებოდა, თვალის ქუთუთოები ცრემლებით აევსო. მერე როგორც მდუმარება, ისე მოგორავდნენ ეს ცრემლები მის ნათელ სახეზე და უნამავდნენ ვერცხლისფერ, ფაქიზ წვერს.

დიდი გამზრდელი ქვითინებდა...

— თუ კი აგრე შესწუხდებით, შევწყვიტავთ კითხვას?

— არა, არა, მე არ ვსტირი, მაგრამ... ეს მართლაც კარგად დამიწერია!—წარმოსთქვა მოხუცმა და სასთუმალზე ულონოდ მისდო თავი. ფიქრს მიეცა. ეტყობოდა, გაიხსენა შორეული წარსული. რაღაც ღრმად განცდილი და ამაღელვებელი.

ხანდახან სასთუმლიდან თავს წამოსწევდა, გადახედავდა ყველა იქ მყოფს, თითქოს უნდოდა შეეჩივლა, გული მიჩერდებაო, აღარ მიჯერებსო, მაგრამ გულისცემა უბრუნდებოდა და ისევ მშვიდდებოდა.

ზამთრის ბნელი და გრძელი ღამე ზლაზნით მიდიოდა. მოხუცი სარკმლისაკენ იცქირებოდა. ცისკრის ვარსკვლავი კი არ მოსჩანდა, ასპიტი ღამე მომდგარიყო ფანჯრებთან.

— ჩემი ქვეყნის გაზაფხულს ვეღარ ვიხილავ?—თითქოს კითხულობდნენ მისი თვალები.

ოდნავ კარი გამოაღეს. ცივი ნიავი დატრიალდა ოთახში.

— ვინ არის? ვინ შემოვიდა? — იკითხა მშფოთვარედ და მიაჩერდა კარს.

— არავინ.

— მე კი მეგონა ვინმე მოვიდა...

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ რაღაც სთქვა, სიტყვებს ვეღარ არჩევდნენ.

გადმოხედვით უსაყვედურა, რომ მის ნათქვამს ვეღარ მიმხვდარიყვნენ, და უიმედოდ ხელი ჩაიქნია.

ნახევარი საათიც და ყველა მწუხარებამ შეიპყრო. აჩოჩქოლდნენ, ამოძრავდნენ. შველა აღარ შეიძლებოდა, პატარა გული გაჩერდა და დიდი სიცოცხლე დამთავრდა.

შეჩერდა საათიც—ისიც დადუმდა.

*

სხვიტორიდან საჩხერისაკენ ხელით მიასვენებდნენ. იასა და ვარდყვავილებს უფენდნენ გზად. შიგადაშიგ შხერის ფოთლის გათალხული თაღები აღემართათ. საჩხერე ძაძებში იყო გახვეული. ზღვა ხალხი ცხედარს მუხლმოდრეკილი მიეგება.

მაღლობზე ავიდა შუახნის კაცი, შავი წვერ-ულვაშით, უკან გადავარცხნილი გრძელი თმით. ნაბად-წამოსხმული, მეცხვარული ჯოხით ხელში და სიტყვა წამოიწყო.

— დავკარგეთ! — მაგრამ ვეღარ განაგრძო სიტყვა. მღელვარებამ და ნაღველმა სული შეუხუთა, აზრი ჩაუხშო.

— ის აღარა გვყავს, ვინც სთქვა: „ჩონგური საქართველოა"... — და კვლავ დაებნა ნაფიქრი. ლექსის შემდეგი სტრიქონი ვეღარ მოიგონა. ის უმწეოდ შესცქეროდა სმენად გადაქცეულ ხალხს.

მერე უცბად, დუმილში ჩაფლულმა და სმენად გადაქცეულმა ხალხმა ერთხმად განაგრძო ლექსი:

„სიმები ჩვენ ვართ ყველაო!.."

ძაძით შემოსილი მატარებელი დაიძრა.

თბილისმა მიიღო თავისი სულმნათი შვილი.

ჩაფიქრებული მთაწმინდა მწუხარედ დასცქეროდა, როდესაც მამადავითის კლაკნილი გზით მიასვენებდნენ ხალხის მომღერალს, რომელსაც წინ მიუძღოდა ერთად-ერთი დაფნის გვირგვინი წარწერით:

„აკაკის — საქართველოსაგან"!

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

პირველი პოეტი, რომლის ლექსებსაც ჩვენს ბავშვობაში ნანასთან ერთად დედები გვიმღეროდნენ, იყო აკაკი წერეთელი. იგი ყველას უყვარდა. უყვარდათ მისი შინაარსიანი და ტკბილ-ხმოვანი ლექსები, შესანიშნავი პოემები და მოთხრობები. აკაკი წერეთელი პოეტთა შორის უბედნიერესი იყო. სიცოცხლეში ხალხისაგან ისეთი სიყვარული და დაფასება, აკაკისებური დიდი სახელი წილად იშვიათად ხვდომია ვინმეს. აკაკიმ განსაკუთრებულად გაიგო ხალხი, ხოლო ხალხმა — აკაკი. თავისი ცხოვრებით და წარმტაცი შემოქმედებით აკაკი წერეთელი ხალხთან იდგა, ხალხის ყოველდღიურობით ცხოვრობდა და ხალხის საბედნიეროდ მოქმედებდა. იგი იყო ხალხისა და სამშობლოს ჭირვარამის გამომხატველი, ხალხის ენით მოსაუბრე პოეტი. აკაკი წერეთელი ხალხისა და სამშობლოს კარგ მომავალზე ოცნებობდა. წარსულის გმირებით აღფრთოვანებული ჭაღარა პოეტი სიხარულით შეჰყურებდა მოზარდ თაობას: ამ თაობაში ხედავდა იგი უკეთესი მერმისის შემქმნელ ძალას. მაგრამ აკაკიმ იცოდა, რომ ქვეყნის კარგი მომავლისათვის მოზარდი თაობის კარგად აღზრდა იყო საჭირო. ამიტომ დიდი პოეტი არ იშურებდა ნიჭსა და უნარს და ბავშვებს ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნა. აკაკი საბავშვო ჟურნალების აქტიური და საპატიო თანამშრომელი იყო. მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალებში „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“.

ბავშვებისათვის აკაკი მარტო ორიგინალურ ლექსებსა და მოთხრობებს როდი სწერდა, მას საჭიროებისამებრ უხდებოდა ცნობილი რუსი მწერლის ივ. კრილოვის შესანიშნავი იგავების თარგმნა და გადმოქართულება. ამ ლექსებიდან ბევრი დიდიხნის მანძილზე ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებში იბეჭდებოდა და ახლაც იბეჭდება. ვის არ გვისწავლია და ვის არ გვახსოვს: „დათვის წვეულება“, „დაბერებული ლომი“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, „ჭინჭრაქა“, „მგელი და კრავი“, „ხურო მელია“ და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად აკაკი თავისი საბავშვო ლექსებისათვის აზრს იღებდა დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებიდან. როგორც ივ. კრილოვის, ისე სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონენი არიან და აკაკიც თავის სადა, ტკბილხმოვანი ლექსების წყალობით ამ იგავ-არაკების აზრს ბავშვებისათვის ადვილად ასათვისებელს ხდიდა.

აკაკი წერეთლის ორიგინალური საბავშვო ლექსები, პოემები და მოთხრობები ქართული საბავშვო ლიტერატურის დიდი შენაძენია. ამ ნაწარმოებთაგან ბევრი მართლაც დაუვიწყარია.

ხშირად აკაკი წერეთელი საბავშვო ჟურნალების რედაქტორთა შეკვეთით სწერდა ნაწარმოებებს. ასევე აკაკის დაუწერია ლექსები ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის თხოვნით, რომლის მიერ შედგენილი ქართული ენის სახელმძღვანელოები „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდნენ სკოლებში ქართული ენის შესწავლასა და განმტკიცებას. უმთავრესად სწორედ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენიდან“ და „ბუნების კარიდან“ მოეფინა მოზარდ თაობას აკაკი წერეთლის საბავშვო ლექსების საუკეთესო ნაწილი. ვის არ გვისწავლია სიყვარულით და ახლაც ვინ არ სტკბება აკაკის შემდეგი სტრიქონებით:

„გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია.
ჩვენს სალხენად კოკობ ვარდსაც
ეშხით გული გაუღია“.

ასევე გვახსოვს:

„გაბმულხარ, ჩიტო, მახეში?
გაჩერდი, ნუღარ ფრთხიალობ!
ჩვენი ხარ!.. ვერსად წაგვიხვალ!
დაგვიმორჩილდი! რას წვალობ“?

ქართული საბავშვო ჟურნალების ხშირი სტუმარი იყო აკაკი. ბევრმა ქართველმა საბავშვო მწერალმა პირველად ამ რედაქციებში გაიცნო იგი. აქ აკაკისაგან ბევრმა მიიღო შენიშვნა და რჩევა-დარიგება.

აკაკი წერეთლის პოეზია სადა, მეტად მხატვრული და მუსიკალურია. ამ დიდი ღირსების წყალობით აკაკის ლექსები ადვილი ასათვისებელია. ამიტომ არის, რომ ეს ლექსები ბევრმა იცის ზეპირად და ბევრგან მღერიან.

აკაკიმ იცოდა ბავშვების ასაკობრივი გარჩევა და ყველა ასაკისათვის შესაფერი მხატვრული ზომიერებით წერა. მცირე-წლოვან ბავშვებისათვის მან დასწერა ისეთი ლექსები, როგორიც არის „ყმაწვილი და პეპელა“, „ციცუნია კატაო“, „თხა“, „გაზაფხული“ და სხვები, რომლებიც ჩვენი საბავშვო პოეზიის შედევრებს წარმოადგენენ.

აკაკი წერეთლის საბავშვო შემოქმედების იდეური მიმართება არ განსხვავდება პოეტის საერთო შემოქმედებისაგან. აკაკი თავისი წარმტაცი ნაწარმოებებით ბავშვებს თავისუფლებისა და სამშობლოსადმი სიყვარულს უნერგავს. პოეტი ბავშვებს მოუწოდებს — იყონ მამაცნი, შრომის მოყვარულნი და სამართლიანობის დამცველნი. ბავშვებს უყვართ ცხოველებსა და ფრინველებზე დაწერილი ნაწარმოებნი. აკაკიც თავის აზრებს უმთავრესად ცხოველთა და ფრინველთა მაგალითებით გამოხატავს.

ბავშვებს უყვართ ბუნება. აკაკი წერეთელიც თავის ლექსებში ბავშვებს უხატავს ბუნების მშვენიერ სურათებსა და მოვლენებს, უწერს ლექსებს წელიწადის დროებზე.

ცხოველებთან ბავშვების დამოკიდებულებას და თვით ცხოველთა სახეებს დიდებულად იძლევა აკაკი. დაუვიწყარი სურათია:

„ციცუნია კატაო,
მაგრე რამ დაგხატაო?
ნუხარ ჩემზედ გაბუტვით,
სიდა მოგვიმატაო?
მეტათ არ გამწარდეო
შენ ჩვენ არ გვიყვარდეო!
თუ გულს გერჩის, წამოხტი,
აბა ინავარდეო!“

ბავშვების საყვარელ საგმირო ამბებსაც არ ივიწყებს პოეტი და ამ თემაზე დასწერა რამდენიმე ნაწარმოები. ამ მხრივ აღსანიშნავია: „დათუნა გოცირიძე“, „ოტია მესხი და ადამ ბებურიშვილი“ და სხვები. აკაკი წერეთლის კალამს ეკუთვნის ბავშვებისათვის ლექსად დაწერილი ზღაპარი „ალქაჯი“, პოემა „კიკოლას ნაამბობი“, რამდენიმე წვრილი მოთხრობა და ამბავი.

დაუფასებელია აკაკი წერეთლის სამწერლო მუშაობა. მის ნაწარმოებებზე მრავალი თაობა აღიზარდა. აკაკის ბევრმა ნაწარმოებებმა ჩვენს დროში მეტი ძალა და ელვარება მიიღო. ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოზარდი თაობა ეწაფება ამ ნაწერებს და სიყვარულით ითვისებს მათ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

მწერლის შემოქმედებითი თვითანგარიში პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა; აქ მწერალთა კოლექტივს შესაძლებლობა აქვს უფრო საქმიანად დაეხმაროს მწერალს იმისათვის, რათა ამ უკანასკნელმა შესძლოს აღებული თემის უკეთ და მეტის წარმატებით დამუშავება. საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობის ეს პრაქტიკა კარგახანია შემოიღო. პარტიულ კრებებზე წინად მოსმენილ იქნა მწერლების რ. გვეტაძის და გ. კაჭახიძის შემოქმედებითი თვითანგარიშები. ამ კრებებმა წარმატებით ჩაიარეს.

21 ივნისს მწერალთა პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მოსმენილ იქნა პოეტ ალექსანდრე გომიაშვილის შემოქმედებითი თვითანგარიში. გომიაშვილმა ილაპარაკა თავისი მუშაობის პირობებისა და იმის შესახებ, თუ რაზედ მუშაობს ამჟამად. პოეტმა აღნიშნა, რომ მას განსაკუთრებით აინტერესებს მუშაობა ეპოსის ჟანრში; ამიტომ, — სთქვა მან, — მთელი განვლილი დროის განმავლობაში მე დიდი ინტერესით ვეპყრობოდი ბალადების წერას, ამ ბალადებში ვცდილობდი გადმომეცა კონკრეტული ადამიანები, კონკრეტული მოვლენები — იქნებოდნენ ის წარსულიდან თუ თანამედროვეობის ცხოვრებიდან აღებული.

შემდეგ თანამოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ამხ. დიმიტრი ბენაშვილს. მან განიხილა მწერლის განვლილი შემოქმედებითი გზა და აღნიშნა, რომ პოეტმა მთელი ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია. ორატორი განსაკუთრებით ვრცლად შეეხო გომიაშვილის შემოქმედების პირველ პერიოდს, როცა პოეტმა გამოაქვეყნა „მონადირის სიკვდილი“, „ნანგრევთა შორის“, „სნაიპერის სიყვარული“, „ისევ ეძახიან ვერმანიას“, „ჩეხური კოლექტივები“ და სხვ. ამ ლექსებში გომიაშვილს ახასიათებს ძლიერი პოეტური ხმა და ბალადებში—ეპოსისათვის დამახასიათებელი თხრობითი კილო. მიუხედავად იმისა, რომ გომიაშვილმა უკანასკნელ ხანებში დასწერა მთელი ციკლი საუკეთესო ლექსებისა („ბაზალეთის ტბა“, „ბალადა გამოსალმებისა“, „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“ და სხვა), მაინც უნდა აღინიშნოს, რომ პოეტმა ნაწილობრივ შეასუსტა თავისი შემოქმედებითი მუშაობის ინტენსიურობა. საჭიროა გომიაშვილმა უფრო მეტი შემოქმედებითი ენერგიით განაგრძოს კარგად დაწყებული და ნაყოფიერად ჩატარებული შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც მას ადრინდელ წლებში ახასიათებდა.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს დემნა შენგელაიამ, კ. ბობოხიძემ, გ. კაჭახიძემ, ალ. ქეიშვილმა, შ. ღონღაძემ, ალ. შანიძემ და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ალ. გომიაშვილმა თავისი ლექსებით და ბალადებით დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში და შესძლო ცოცხლად, რეალისტურად გამოეხატა არა მარტო განახლებული მთის ცხოვრება, არამედ იმავე დროს ეჩვენებინა საერთოდ ჩვენი თანამედროვეობის ნათელი სურათები, წითელი არმიის გმირული ბრძოლისა და ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები. ამ მხრივ გომიაშვილის პოეზია თემატიურად და მხატვრულად მრავალფეროვანია.

კამათში გამოსული ამხანაგები მიუთითებდნენ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გომიაშვილის ზოგიერთ ლექსს ახასიათებს.

ა. გომიაშვილმა თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ თანამოხსენებლისა და კამათში გამოსული ამხანაგების სამართლიანი შენიშვნები დაეხმარება მას უფრო წარმატებით იმუშაოს მომავალში.

ბოლოს, დასკვნითი სიტყვით გამოვიდა ამხ. სანდრო ეული. მან აღნიშნა, რომ მწერლის შემოქმედებითი თვითანგარიშის მოსმენა და შემოქმედებითი საკითხების გარჩევა პარტიულ კრებაზე დიდად დაეხმარება ყოველ მწერალს მუშაობის შემდგომი გაშლის საქმეში. ამიტომ ეს პრაქტიკა ჩვენ უფრო მეტად უნდა გავაფართოოთ და განვამტკიცოთ.

შემდეგ ამხ. ს. ეულმა ილაპარაკა გომიაშვილის პოეზიის თემატიური და მხატვრული მრავალფეროვნების, პოეტის შემოქმედებითი მიღწევების შესახებ და დაასკვნა რომ ჩვენ მისგან უფრო მეტს შემოქმედებითს პროდუქციას მოველით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

25 ივნისს ბალეტისა და ოპერის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა ბავშვთა შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა. ოლიმპიადას დაესწრნენ: საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი, საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბაქრაძე, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები კ. შეროზია, მ. ჯაში, ი. თავაძე და ა. თოფურიძე, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. სტურუა.

ოლიმპიადა გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მირცხულავამ. მან ილაპარაკა იმ დიდ მზრუნველობაზე, რომელსაც ბავშვთა აღზრდისადმი იჩენენ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა. იმავე დროს აღნიშნა ბავშვთა მხატვრული შემოქმედების უდიდესი ზრდა.

ამხ. მირცხულავამ შეიტანა წინადადება ბავშვთა მხატვრული შემოქმედების ოლიმპიადა მოეწყოს ყოველწლიურად სასწავლო წლის დასასრულს, როგორც დიდი დღესასწაული.

თბილისის პიონერთა სახელით ოლიმპიადის მონაწილეებს მიესალმა მოსწავლე ლამარა ჩიჩია. ა-კ. სამხედრო ოლქის წითელი არმიის სახლთან არსებული მეთაურთა შვილების თვითმოქმედი წრეების სახელით — მოსწავლე არნოლდ ტატიშვილი.

ამით გათავდა მილოცვები.

ბავშვები მოუთმენლად ელიან თავიანთ ტოლების გამოსვლას სცენაზე. ფარდა იხდება და ოლიმპიადის მონაწილე გაერთიანებული გუნდები მღერიან „ინტერნაციონალს“.

პროგრამა გაყოფილია სამ განყოფილებად. ყოველ განყოფილებას თავისი კონფერანსიე ჰყავს. კონფერანსიებად თბილისის მოსწავლეები არიან.

პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო თბილისის ბავშვთა მხატვრული შემოქმედება. ნათლად სჩანდა, რომ ჩვენი სამშობლოს დედა-ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს მხატვრული თვითმოქმედებისადმი. მრავალფეროვანი პროგრამის შესრულების ხარისხი ამას ნათლად ადასტურებს.

აღსანიშნავია ლენინის რაიონის 31-ე საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდი მოსწავლე ნათელა პატარიძის ხელმძღვანელობით.

საუცხოოდ იცეკვეს ლეკური ლამარა ჩიჩიამ და ვახტანგ გუნაშვილმა, „ხორუმი“ — 52 სკოლის მოსწავლეთა ჯგუფმა.

სტალინის რაიონის მეორე სკოლის ანსამბლმა შეასრულა საინტერესო მუსიკალურ-ლიტერატურული მონტაჟი — „ბედნიერი ბავშვობა“.

შემდეგ განყოფილებებში გამოვიდნენ საქართველოს რაიონების მხატვრული ანსამბლები და ცალკეული შემსრულებლები.

ფოთის მოსწავლეებმა დამსწრეთ უჩვენეს ინსცენირება, მიძღვნილი ძველისა და ახალი კოლხიდისადმი. სიმღერა, ცეკვა, ლიტერატურული ტექსტი ნათლად გამოხატავდა განახლებული ფოთის მშრომელთა, კოლხიდის მშენებელთა ახალ ცხოვრებას.

ინდუსტრიული ქუთაისი,—აი თემა ქუთაისის მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ინსცენირებისა. ერთმანეთს სცვლიდნენ ახალი და ძველი ქუთაისის სურათები.

მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია ზუგდიდის მოსწავლეთა სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსწავლე დ. ხაჯალია.

პირველ საღამოზე მონაწილეობა მიიღეს გორის, მახარაძის, თელავის, კასპის და მცხეთის რაიონების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლებმა.

ოლიმპიადა გადაიქცა ბავშვთა უდიდეს დღესასწაულად. მასში ნათლად სჩანს ჩვენი მოზარდი თაობის სიყვარული ჩვენი დიდი სამშობლოსადმი, ხალხთა დიდი ბელადის **სტალინისადმი.**

ოლიმპიადა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს.

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲖᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

1908 წელს ქუთაისის საზოგადოებამ დიდის ზეიმით გადაუხადა იუბილე ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს აკაკი წერეთელს. ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა აკაკის იუბილე. დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხიდან ჩამოვიდნენ ამ დღესასწაულზე. ინტელიგენციის, მუშების, ხელოვნების წარმომადგენლები ულოცავდნენ საყვარელ პოეტს საიუბილეო დღესასწაულს. სოფლებიდანაც იყვნენ დელეგატები. ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრეს სოფელ ბაღდადიდან ჩამოსულმა გლეხთა ჯგუფებმა. ერთმა მოხუცმა გლეხმა ასე მიმართა აკაკის:

„ბატონო აკაკი! მუშა, შეუგნებელი გლეხი გახლავართ; თოხი გვიკავია ხელში, ვჩიჩქნით მიწას, თავი ვირჩინოთ, მივდივართ ოჯახში დაღალული, დაქანცული, შემოუსხდებით ცეცხლს ორიოდე ლუკმის მისაღებად დაძინებამდის; ამ დროს ჩემი პატარა შვილიშვილი, დაგვიდის, ამზადებს მონაცემ სასწავლოს; ხმამაღლა კითხულობს და ისეთი რამ გვესმის ხოლმე, რომ გვავიწყდება ჩვენი დაღალვა, ჩვენი დაქანცვა, გულში რაღაც სიტკბო და სიამოვნება შედის და ყმაწვილს ვაშეორებინებთ. და როცა გვეკითხავს, რა არის ესაო, ხშირად გვიპასუხებს ხოლმე, აკაკის ლექსიაო; თქვენი სიტყვით ჩვენი მძიმე ტვირთი გვიმსუბუქდება, გვემჩატება და გიახელით ჩვენი მადლობა მოგახსენოთ“ (დ. კლდიაშვილის მოგონებიდან“ — იხ. „პოეზიის დღე“, 1927 წ. 7 მაისი).

აკაკიზე ამ მოხუცის გამოსვლას დიდად უმოქმედნია. იგი აცრემლებულა, წამოვარდნილა, გადახვევია და გადაუკოცნია წელში მოხრილი მოხუცი გლეხი. დამსწრე საზოგადოებაც მხურვალედ გამოხმაურებია ამ გლეხის გულწრფელ გამოსვლას.

ზემოთ მოთავსებულია სოფელ ბაღდადის გლეხთა დეპუტაცია აკაკის საიუბილეო დღესასწაულზე. სურათი გადმოგვეცა **გ. ახვლედიანმა** (ბაღდადი)

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ № 4

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მეოთხე ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია: მოწინავე „მაიაკოვსკი“, დ. ალექსიძის „მსახიობის აღზრდის საკითხისათვის“, დ. შერმანის „მაიაკოვსკი თეატრში“, იოჰან ალტმანის „აზრი, გრძნობა, შემოქმედება“, შ. დადიანის „ემილ ზოლა და თეატრი“, შ. ალხაზიშვილის „გიგო გაბაშვილის რეალიზმი“, ალ. სიგუას „გ. სააკაძე“ მარჯანიშვილის თეატრში“, ა. ფევრალსკის „სამოქალაქო ომის აგიტდრამატურგია“, პროფ. დ. გორდეევის „ტიმოთეს უბანი“, ამხ. ამბ. გაჩეჩილაძის „აკაკი წერეთელი და ფოლკლორი“, დ. კ-ს „კომბლე“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში“, შ. ბუაჩიძის „აფხაზეთის სახელმწიფო თეატრი“, შ. ბუთხუზის „თელავის და ხაშურის თეატრებში“.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია ვ. წულუკიძის „კლასობრიობის საკითხი რუსული ლიტერატურის ისტორიის ერთს სახელმძღვანელოში“, მ. მამულაშვილის „სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, ჟურნალი მრავლად არის დასურათებული.

„ᲑᲐᲠ-ᲙᲝᲮᲑᲐ“ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დავალებით პოეტმა სევერიან ისიანმა სთარგმნა სამუილ გალკინის 4 მოქმედებიანი დრამატიული პოემა „ბარ-კოხბა“. ამ პიესამ მიიღო გორკის სახელობის საკავშირო პრემია.

ქუთაისის თეატრი „ბარ-კოხბას“ მომავალ სეზონში დასდგამს.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲝᲛᲘ

აკაკის საიუბილეო დღეებში სახელგამმა გამოსცა აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომი.

პირველი ტომი გამოვიდა პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით.

პირველ ტომში მოთავსებულია 514 ლექსი. დიდი ნაწილი ამ ლექსებისა აკაკის თხზულებათა დღემდე გამოქვეყნებულ კრებულებში არ ყოფილა მოთავსებული. ეს ლექსები გაბნეული იყო პერიოდულ პრესაში, ზოგი სრულებით არ ყოფილა დაბეჭდილი ავტორის სიცოცხლეში და პოეტის ხელნაწერებში იქნა აღმოჩენილი.

ტექსტების დადგენისას რედაქციამ იხელმძღვანელა აკაკის თხზულებათა ყველა არსებული პუბლიკაციით და ავტოგრაფით. აღდგენილია დაზიანებული და ცარისტული ცენზურის მიერ დამახინჯებული ადგილები.

წიგნს წამძღვარებული აქვს პ. ინგოროყვას ვრცელი შესავალი წერილი: „აკაკი წერეთლის შემოქმედება“.

წიგნი გაფორმებულია მხატვარ ლ. გრიგოლიას მიერ. შეიცავს 888 გვერდს და ღირს 30 მანეთად.

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲝᲛᲘ

საიუბილეო დღეებშივე გამოვიდა აკაკის თხზულებათა მესამე ტომი. ამ წიგნში მოთავსებულია აკაკის ყველა პოემა, რომლებიც შესწორებული და შევსებულია საცენზურო კომიტეტში აღმოჩენილი ხელთნაწერებისა და საქართველოს მუზეუმებში დაცულ პოეტის ავტოგრაფების მიხედვით. ასეა შევსებული, მაგალითად, „თორნიკე ერისთავი“, „თამარ ცბიერი“ და სხვ.

ამ წიგნში პირველად არის გამოქვეყნებული აკაკის რამდენიმე დაუბეჭდავი პოემა, მათ შორის „ომი“, რომელიც პოეტმა სიკვდილის წინ დასწერა. იქვეა მოთავსებული „პატარა კახის“ პროზაული ვარიანტი შემდეგი სათაურით „ირაკლი ბატონიშვილი“.

წიგნი გამოცემულია ი. გრიშაშვილის რედაქციით.

მესამე ტომს დართული აქვს ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი ვრცელი კომენტარიები და ბიბლიოგრაფია.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ, ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

24 ივნისს ლიტერატურულ მუზეუმში გაიხსნა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური გამოფენა. მუზეუმის კოლექტივს დიდი სიყვარულით უმუშავნია ამ საინტერესო გამოფენის მოსაწყობად.

გამოფენას ექვსი დარბაზი უჭირავს.

პირველ ოთახში ეცნობით აკაკის ბავშვობას. აქ არის სოფ. სხვიტორი, მისი მიდამოები, მდ. ჩიხურა, სახლი, სადაც იზრდებოდა ბავშვობისას აკაკი (სადუნიშვილების კარმიდამო). აქ ნათლად სჩანს ის გარემოცვა, რომელმაც წარუშლელი ზეგავლენა მოახდინა აკაკის ხასიათზე, მისი მსოფლმხედველობის შემუშავებაზე. აკაკი თვითონ გრძნობდა ამას და ამიტომ ამბობდა:

„რადგანაც არ ვიზრდებოდი
მე სხვებთან ბატონყმურადა,
მიტომაც ჩემზე მდაბალსა
მე შევყურებდი ძმურადა“.

ეს ლექსი სწორედ ამ ოთახშია გამოკიდული, თითქოს იქ გამოფენილი დანარჩენი მასალის ხაზგასასმელად. ამ განყოფილების ცენტრში აკაკის აკვანია.

აკაკი უკვე გიმნაზიაში სწავლობს. ქუთაისი. მისი თვალსაჩინო ადგილები. წიგნები, რომლებსაც კითხულობდა და სწავლობდა აკაკი გიმნაზიის პერიოდში. ამას მისდევს პეტერბურგის პერიოდი. 1861 წლის სტუდენტობის არეულობა, რომელმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა. აქვეა იმ მეგობრების ფოტო-სურათები, რომელთა წრეშიც აკაკი ტრიალებდა (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.). ცალკეა გამოყოფილი იმ მოაზროვნეთა სურათები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს ახალგაზრდა აკაკის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე (დობროლუბოვი, ჩერნიშევსკი, გერცენი, ფეიერბახი). გამოფენილია წიგნები, რომლებსაც აკაკი კითხულობდა, შემდეგ ის მასალა, რომელიც „მამათა და შვილთა“ ბრძოლას შეეხებოდა.

აქვეა ნაჩვენები აკაკი, როგორც ნაციონალურ - განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე; აკაკის საყვარელი გმირები გ. სააკაძე, პატარა კახი, ვახტანგ გორგასლანი და სხვ.

განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი აკაკისა და ილიას ურთიერთობას. ნაჩვენებია ის, თუ როგორის სიყვარულით და გულისყურით ეკიდებოდა ურთიერთს ეს ორი ბუმბერაზი ქართველი მწერალი. აქ არის მოთავსებული გიგოლაშვილის სურათი „ილია უკითხავს აკაკის პოემა „აჩრდილს“. აქვეა ილიას შემდეგი მიმართვა აკაკისადმი „ივერიაში“ თანამშრომლობის შესახებ: „შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული“-ო, სწერს ილია აკაკი წერეთელს.

გამოფენილია ნადარეიშვილის ნახატი „აკაკი ილიას დასაფლავების დღეს“.

აკაკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხურ შემოქმედებას, იგი ჰკრებდა ხალხურ საუნჯეს. უამრავი მასალის გამოსაქვეყნებლად დააარსა ჟურნალი „კრებული“. ამ კრებულმა იარსება 1897-1900 წლამდე. უსახსრობის გამო კრებული დაიხურა. გამოფენაზე ცალკეა გამოფენილი მასალა ყოველივე ამის შესახებ.

განყოფილებაში: „აკაკი ქართულ კრიტიკაში“ გამოფენილია იმ კრიტიკოსთა სურათები, რომლებსაც საფუძვლიანად გაურჩევიათ აკაკის შემოქმედება — ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ცაგარელი, ხახანაშვილი, კ. აბაშიძე, ხომლელი და სხვ. აქ გამოფენილია ამონაწერები მათი წერილებიდან. [illegible] ნ. ნიკოლაძის ციტატა:

„აკაკი წერეთელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეტია...

მან ქართულ სიტყვიერებაში მოიპოვა და სავსებით შეინარჩუნა ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც პუშკინს აქვს რუსული ლიტერატურის ისტორიაში თავისი თხზულებების ენისა და ფორმის მხრით“.

აკაკი კრიტიკოსი, აკაკი და „ჯეჯილი“, აკაკი და ცენზურა—აი საკითხებზე გამოფენილია საკმაო მასალა. აქ ნახავთ მეტად საინტერესო საბუთებს, თუ როგორ მუშაობდნენ საერთოდ ქართველი მწერლები და კერძოდ აკაკი წერეთელი მეფის ცენზურის პირობებში. „ინტერნაციონალის“ გამოქვეყნების გამო აკრძალეს „პატარა გაზეთი“. აკრძალეს აგრეთვე ლექსი „ავადმყოფი“, „თორნიკე ერისთავის“ ადგილები და სხვა.

ყურადღებას იქცევს განყოფილება „აკაკი და 1905 წელი“. აქ ნათლად სჩანს აკაკის დამოკიდებულება რევოლუციურ მოძრაობისადმი: რევოლუციას ეხებიან ლექსები: „თქვენი ჭირიმე“ „გურული ნანინა“, „ძირს“, „რჩევა“, „ინტერნაციონალი“ და სხვები. 1905 წელს ბარიკადებზე მღეროდნენ აკაკის „ინტერნაციონალს“.

ცალკეა გამოფენილი აკაკის მეგობარი გლეხების სურათები და მასალა „აკაკი მუსიკაში“.

საინტერესოა განყოფილება „აკაკი და თეატრი“. ყველასათვის ცნობილია, რომ აკაკი დიდ მფარველობას უწევდა ქართულ თეატრს. იგი ერთხანს რეჟისორიც იყო, ზრუნავდა ქართული რეპერტუარის შექმნაზე, სწერდა თეატრისათვის პიესებს და სხვა. 1862 წელს პირველად მის მიერ ქუთაისში დადგმულ იქნა „მზის დაბნელება საქართველოში“. აკაკი წერეთელი დიდ როლს აკისრებდა თეატრს ქართველი ხალხის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სთარგმნიდა და ათარგმნინებდა სხვებს შესაფერ პიესებს. ამ განყოფილებაში გამოფენილია აკაკის მოსაზრებები თეატრისა და რეპერტუარზე.

„რეპერტუარი უპირველესი საქმეა დღეს ჩვენთვის, პიესები კარგის ქართულის ენით უნდა იყოს დაწერილი. უმსგავსო ენით დაწერილი პიესების წარმოდგენით საზოგადოებას კი არ მივიზიდავთ თეატრში, უფრო დავაფრთხობთ... მე უფრო ის მირჩევნიან ჯერ-ჯერობით, რეპერტუარი კი გავაუმჯობესოთ და რიგიანი პიესები გავიჩინოთ“, — სწერდა აკაკი.

გამოფენაზე ფართოდ არის მოცემული აკაკის იუბილე თბილისში და ქუთაისში, მისი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. ამ განყოფილებებში მოთავსებული მასალა კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს იმას, თუ რა პოპულარული იყო აკაკი ფართო მასაში, როგორ უყვარდა იგი ქართველ ხალხს.

გამოფენაზე წარმოდგენილია აკაკის ნივთები: საწერი მაგიდა, ლამფა, უბის წიგნაკი, სამელნეები, პორთფელი, ფინჯანი, პასპორტი და სხვ. დოკუმენტები აკაკის გარდაცვალებასა და დასაფლავებაზე.

ფართოდ არის გამოფენილი აკაკის წიგნები, გამოცემული 1874-1920 წლამდე და ჩვენს, საბჭოთა პერიოდში, 1923-დან 1940-წლამდე. აქ არის ახალი საიუბილეო გამოცემები.

ეს გამოფენა მდიდარ მასალას იძლევა აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. გამოფენა მომზადებულია ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის გ. ლეონიძისა და სწავლული მდივნის გ. აბზიანიძის ხელმძღვანელობით.

„ᲑᲔᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ“

აკაკი ბელიაშვილი მუშაობს დიდ ისტორიულ რომანზე „ბედი ქართლისა“. რომანში მოცემული იქნება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი. რომანში მთავარ გმირად გამოყვანილია ბესიკი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობაც სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა. რომანი დამთავრებული იქნება 1940 წელს ბესიკის იუბილეის თარიღისათვის.

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დაახლოებით 1897-98 წლებში აკაკი მერკვილაძეების ოჯახში დაიარებოდა. მერკვილაძის მეუღლე ნუშო თელავში როსტომაშვილების სკოლაში იყო აღზრდილი; ხელსაქმის საგანგებო ოსტატი და ჩინებული ქართველი ქალი იყო.

ამ ოჯახში შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელი წრე აკაკის ხელმძღვანელობით. „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელ წრეში ახალგაზრდობა ბეჯითად დადიოდა, აკაკის ახსნა-განმარტებას დიდი ხალისით ისმენდა.

ხშირად მთელი საღამო (3-4 საათი) მხოლოდ ერთი ტაეპის ახსნას უნდებოდა აკაკი. თითოეული სიტყვის მნიშვნელობის ახსნასთან ერთად, ლიტერატურის, ისტორიისა და ჩვენი ქვეყნის აწინდელი მდგომარეობის ირგვლივ მუსაიფს იწყებდა ისეთი დამაჭრული ენით, რომ მისი მოსმენა კაცს არ მოსწყინდებოდა: „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლა ჩაგიდგამთ გმირულ სულს, თავის თავისადმი რწმენას... აღგაფრთოვანებთ... და როცა ქართველი დედა ამ წიგნს გაიგებს და შოთას შეიგნებს, მაშინ წარმოშობს ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს, თინათინს... ქაჯეთის ციხიდან მიჯნურს ნესტანს გამოიხსნის“. ამითი კი იგულისხმებოდა, რომ იმ ხანად დამონებული ქართველი ერი მკვდრეთით აღსდგება და სხვა ერთა შორის თანასწორად ჩადგებაო.

აკაკი ისეთი თვალგაბრწყინვებით გველაპარაკებოდა, თითქო ნესტანს, თინათინს, ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს ცხადლივ ჰჭვრეტსო. ხოლო ჩვენ, მსმენელნი, თვით აკაკის შოთასთან ვაიგივებდით, საქართველოს მკვდრეთით აღორძინების მოციქულად ვსახავდით.

— როგორ შეიძლება მიწიერი ზეციერს შემადაროთო?

— განა თქვენი „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „ბაგრატ დიდი“ ნაკლებია? — შევეკამათე ერთხელ.

აკაკიმ გაიღიმა...

— როგორც ვარსკვლავი მზეს ვერ შეედრებაო.

ერთხელ ნუშომ გამოაცხადა:

— ახალი ამბავი უნდა მოგახსენოთ: კიკუშა სულხანიშვილი სწერს ჩვენი საყვარელი აკაკის „პატარა კახის“ ოპერას. ნაწყვეტს მომავალ საღამოზე მოვისმენთ.

ამ საღამოს მოუთმენლად მოველოდით.

დანიშნულ საღამოს შევიკრიბენით ნუშო მერკვილაძის ოჯახში (ჯორჯაძის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლში, № 5, აწინდელ კომუნართა ბაღის პირდაპირ). იქ იყო რამდენიმე ქალი და კაცი, ყველა ქართული კულტურით დაინტერესებული. იქვე ბრძანდებოდა აკაკი. გულისფანცქალით ველით. ნეტა ვინ იქნება ის სვებედნიერი, ვინც ჩვენს ჰანგებს ოპერის სახით სცენაზე გამოიტანს? და ამ ფიქრში მყოფთ ნუშომ წარმოგვიდგინა:

— აი, ჩვენი კიკუშა! მოვისმენთ ოპერის ნაწყვეტს. როგორ ისურვებთ, ახლა თუ ვახშმის შემდეგ?

— ახლავ, ახლავ!

წამოდგა შუატანის, ოდნავ თაფლა იერის ყმაწვილი კაცი, კამერტონით ჰანგი მოიმარჯვა და შემოსძახა ლევანის არია:

„დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან,
მაგრამ სალამურს თუ მოჰკრა
ყური“...

ყველამ სული გავნაბეთ. დარბაზში უჩვეულო ჰანგი შემოიჭრა. მეორე სტრიქონზე აკაკი მძიმედ ადგა, მეორე ოთახში კართან ჩამოჯდა.

ყური კიკუშასკენ მქონდა, თვალი აკაკისკენ.

განა შემიძლიან გადმოგცეთ, რა მომჯადოებელი, რა არაჩვეულებრივი ჰანგი იყო! კახური ხალხური ჰანგები ბევრჯერ მომისმენია (თითონ მე გარეკახელი ვარ), ბევრი თავისებური კილოც, მაგრამ ასეთი კი არასოდეს.

ყველა დამსწრე მოჯადოებული იყო, თითქო რაღაც გრძნეულობამ შემბოჭაო. ახლაც ხშირად მღერიან ამ „დაიგვიანეს“; იგივეა მაგრამ ისე არ მესმის...

ვუსმენდი და ცაში ვფრინავდი. აკაკის თვალზე ცრემლი აუციმციმდა, ლაწვზე დაუგორდა, თვალებგაბრწყინებულს ბაგეები უფრო უღიმის, თითქო ამქვეყნად აღარ არისო... ცრემლი სდიოდა, ცრემლი უმაღლესი ნეტარებისა.

დიდი მგოსნის სიტყვა და ნიჭიერი კომპოზიტორის ჰანგი ერთმანეთს ჩაექსოვა, ურთიერთს სული ჩაუდგა.

დასრულდა მღერა. მცირე ხანს თითქო ყველა ჯადომ შებოჭაო, შემდეგ უცებ საერთო ტაშმა იგრიალა.

აკაკი მძიმედ წამოდგა, ხმისამოუღებლივ მიუახლოვდა კიკუშას. თავზე ხელი მოხვია და გადაკოცნა.

ამის მსგავსი არც მანამდე და არც შემდეგ არაფერი გამიგონია. ახალგაზრდა კომპოზიტორს ყველამ ვუსურვეთ ოპერის დასრულება. აკაკის ნატვრაც ეს იყო. კიკუშაც შეგვპირდა. როგორც ცნობილია, კომპოზიტორმა ეს ოპერა თითქმის დაასრულა (ბოლო სცენაღა აკლდა), მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ გაქრა... ვერც აკაკის ეღირსა მისი სრულად მოსმენა!..

○

აკაკის გარდაცვალება ელდასავით მოეფინა საქართველოს (გარდაიცვალა 1915 წ. 26 იანვარს, ღამის 1-ლ საათზე).

მთელმა საქართველომ ძაძა ჩაიცვა.

აკაკის გამოსვენებისათვის თბილისიდან წავედით სხვებთან ერთად ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, ქ. მაყაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ს. შანშიაშვილი და მე.

თბილისიდან მაინც ერთ ვაგონში მოვხვდით. მე მიმქონდა ცოცხალ ვარდ-ყვავილების თაიგული, რომელსაც ჩარჭობილი ჰქონდა ცოცხალივე ფოთოლ-რტოს წვერმოტეხილი კალამი.

— აბა, ვინ რას ფიქრობთ, რას იტყვით, რას დასწერთ? შევეკითხე, შემდეგ ალ. აბაშელს გადავხედე (გვერდზე მეჯდა): ანბანთა რიგზე პირველი ხარ, დაიწყე...

— ძალიან მაღალია, დიდი... ვერ შევწვდები, — მომიგო ფიქრში შესულმა.

— როგორ დიდი?!

— მე რომ მხატვარი ვიყო და ღვთის დახატვა მომანდონ, დედნად, ორიგინალად, აკაკის სახეს ავიღებდი... როგორ შევწვდე!..

— სცადე!

ალ. აბაშელი ჩაფიქრდა. უბეში ხელი ჩაიყო. ცარიელი ამოსწია, ვიფიქრე ფანქარს თუ ეძებს-მეთქი, ფანქარი და (მგონი) უბის წიგნაკიც მივაწოდე. ვაგონი მიგვაქროლებდა. აბაშელმა ვაგონის რხევაში ფანქრით ჩასწერა შემდეგი სამტაეპიანი ლექსი:

„ჩვენ ბევრნი ვართ, შენს კალთაში,
შენის ჩანგით გამოზრდილნი,
ვით ყვავილნი მრავალფერნი, ჩვენს
მამულში ტურფად შლილნი.
ჩვენ შენს ხსოვნას ნათელ-მზიურს
მოკრძალებით გარს ვეხვევით
და შენს ლოცვას მარადიულს
ვიმეორებთ სიმთა რხევით.

ჩვენ სიმები შენი ჩანგის დავირიგეთ
თითო-თითოდ,
გვსურს, მოძღვარო, შენი ღმერთი
ჩვენცა ვაქოთ, ჩვენც ვადიდოთ.
ჩვენ ავკინძავთ ჩვენს სიმღერებს,
ყვავილებით დავამშვენებთ
და გვირგვინად შეკრულ ჰანგებს შენს
საფლავზე დავასვენებთ.

და თუ ჩვენი სიმთა ტალღა ათამაშდა
ვით ჩანჩქერი,
თუ შევქმენით ლოცვა წმინდა,
ლოცვა შენი შესაფერი,
შენ მიიღე ის ლაღადი, ანთებული
ვით პატრუქი —
შენი შენვე დაგიბრუნდეს, მზეს
უჩრდილოს—მთვარის შუქი!“.

მისი ცხედრის ირგვლივ მთელი საქართველო შემოიკრიბა. უცხოტომთაც მიუსამძიმრეს ქართველ ხალხს. თბილისს არ ენახა ისეთი დიდებული სანახაობა, ხალხის ერთის გრძნობით აღჩაინება ეროვნულობის განურჩევლად... აქ იყო მთელი ხალხი. კუბოს ერთი გვირგვინი მიუძღოდა — „აკაკის საქართველოსაგან“, მაგრამ ერთ გვირგვინში მთელი საქართველოს გრძნობა იყო ჩაქსოვილი. სხვათაშორის, ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქტორის ნინო ნაკაშიძის თაოსნობით ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები აკაკის ცხედარს გზას ვარდ-ყვავილებით უფენდნენ. ეს იყო ახალგაზრდა მომავალი საქართველოს სიმბოლო.

მთელი საქართველო გულწრფელად გლოვობდა თავის დიდებულ მგოსანს.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:
Ი. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, Შ. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ, Ს. ᲔᲣᲚᲘ, Გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ, Გ. ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ, Შ. ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲘ (ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), Ვ. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1313